ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 8 მაისი, 2023 №88 (9124) ფასი: 80 თეთრი

## მანანა არჩვაძისათვის დედობის უფლების ჩამორთმევის სასამართლო პროცესი დაიწყო



გვ.5

# „2024 წლის არჩევნები ყველაზე ბინძური არჩევნები იქნება“



გვ.2



სოსო ცინცაძე: „ოპოზიციას ლიდერი არ ჰყავს. ხალხთან დალაპარაკება არავის უნდა. 80 წლის ბაიდენმა ამერიკა შემოიარა და ამათ მცხეთაში ჩასვლაც ეზარებათ“

## „ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში აღარ მობრუნდება“

კახა ქემოკლიძე: „ზუსტად ვიცი, რომ კეზერაშვილი მილიარდებს ამ ქვეყანაში „ოცნების“ გარეშე ვერ იშოვიდა“



გვ.2

## „აფხაზეთი ილუპება, დიდი საფრთხის წინაშეა“



გვ.4

ჯემალ გამახარია: „რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიას სანქციების გვერდის ასავლელად იყენებს“

## ოკუპირებული აფხაზეთის ოპოზიცია ანქვაბს აუმხედრდა

„საკითხი აფხაზეთის ხვალინდელი დღის ყოფნა-არყოფნას ეხება“



გვ.4

## „პუტინი ზელენსკიზე „ნადირობას“ გამოაცხადებს“



გვ.3

ამირან სალუქვაძე: „კრემლის თავზე სათამაშო აფეთქება იყო. თუ უკრაინამ განახორციელა შეტევა, რატომ უნდა უარყოფდეს?“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „მე მჯერა, საქართველო გახდება დიდი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და საქართველო შევა ევროპაში საკუთარი ტრადიციებით“




გვ.3

5 „ვინმე დათო ფიროშვილი რადიოს თანამშრომლებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრება“

6 პრინცი ჩარლზი ოფიციალურად გახდა ბრიტანეთის მეფე

5 „სკოლის სამარშრუტო ტაქსის მძღოლი მოსწავლეებს სიტყვიერად და ფიზიკურად ავიწროებდა“

6 ვაგნერელთა რუსული ბანდები ბახმუტს ტოვებენ?!

1993230720223

# „ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში აღარ მობრუნდება“

ნონა ცაბაძე

## კახა ქემოკლიძე: „ზუსტად ვიცი, რომ კეზერაშვილი მილიარდებს ამ ქვეყანაში „ოცნების“ გარეშე ვერ იშოვიდა“

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.




***– ბატონო კახა, „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთეთ და ახლა ჯერი ევროპაზეა, უნდა მიგვიღონ ამ დიდ ოჯახშიო. ევროპის დღეების გამართვით მიგვიღებენ ევროკავშირში?***

– არავითარ შემთხვევაში არ მიგვიღებენ, რადგან ევროპის დღეები ბევრ ქვეყანაში ტარდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის კონკრეტული ქვეყნები იზიარებენ ევროპულ ფასეულობებს, ცივილური სამყაროს ღირებულებებს და, შესაბამისად, წევრიანდებიან ამ დიდ და წარმატებული სახელმწიფოების კლუბში. ქვეყანას სჭირდება რეფორმები. ეს რეფორმები სჭირდება არა ევროკავშირისთვის, არამედ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისთვის. იმისთვის, რომ მეტი ინვესტიცია, ბევრი ფული შემოვიდეს ქვეყანაში და საბოლოო ჯამში სამუშაო ადგილები შეიქმნას და ადამიანები დასაქმდნენ.

„ქართული ოცნება“ ცხოვრობს ალტერნატიულ რეალობაში, ისინი კეთილდღეობას და ქვეყნის წარმატებას საზღვრავენ საკუთარი ფინანსური წარმატებით და საკუთარი ოჯახის და ნათესავების ფინანსური მდგომარეობით და სიმართლე თუ გინდათ, ეს აბსოლუტურად სხვა რეალობაა იმ სოციალური გარემოსგან, რომელიც რეალურად ქვეყანაში არსებობს.

***– ასრულებს ამ რეკომენდაციებს ხელისუფლება, რაც დაკისრებული აქვს? ვხედავთ, რომ არც ერთი საგამოძიებო კომისიის შექმნას არ დათანხმდა. აქეთ შეტევაზე გადმოდის. ოპოზიციამ ჯობია თავის მოვალეობა შეასრულოს პარლამენტში, რაღაც გამოძიებლობანას თამაში მოუნდათო. რა ხდება, რატომ არიდებს კომისიის შექმნას თავს? თუნდაც ქოლცენტრებზე, როდესაც ამხელა სკანდალია. ხომ შეიძლება შეიქმნას კომისია და ყველა კითხვას გაეცეს პასუხი?***

– რეალურად ხდება ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“, ფაქტიურად, იმის გამო, რომ უარი თქვა საპარლამენტო კომისიის შექმნაზე, არა ირიბად, არამედ პირდაპირ დაადასტურა მათი მონაწილეობა აი ამ სქემებში. უბრალოდ, ტექნიკურად შეუძლებელია რამდენიმე წლის განმავლობაში, ათეულობით კი არა, რამდენიმე ასეული ადამიანი, ქვეყნის შიგნით, სადაც შენი იურისდიქცია ვრცელდება, ოპერირებდეს. ამავდროულად ამ ყველაფრით, თურმე სარგებლობდეს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც ოპოზიციურ ტელეარხს აფინანსებს და ეს ყველაფერი არ იცოდა სახელმწიფო სტრუქტურებმა, არ იცოდა უსაფრთხოების სამსახურმა, არ იცოდა ფინანსურმა პოლიციამ, არ იცოდა ეროვნულ ბანკში ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, პროკურატურამ და ასე შემდეგ. უბრალოდ, ტექნიკურად შეუძლებელია ეს ყველაფერი. „ქართულმა ოცნებამ“ უარი ამიტომ თქვა კომისიის შექმნაზე. პანდორას ყუთის გახსნის შეეშინდათ. ეს საქმე აქ არ დამთავრდება, მე დარწმუნებული ვარ ამაში.

***– რამდენად სკანდალური შეიძლება იყოს?***

– მე ვფიქრობ, ძალიან სკანდალურია ეს საქმე თავისთავად. ამასთან დაკავშირებით ბატონი კეზერაშვილიც იძულებული გახდა, გარკვეული მინიშნება გაეკეთებინა. ჩემთვის ე.წ. არგუმენტები, რომ გამოძიებლობანას თამაშობენ და ასე შემდეგ, ეს ასე არ არის. პირიქით, პარლამენტი სწორედ ახლა ასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობას.

***– თქვენ გუნდს დაარტყა „ოცნებამ“? ამ კომისიის შექმნის იდეა ხომ გახარიას გუნდს ეკუთვნის.***

– დიახ, სწორედ ჩვენი გუნდის ინიციატივით მოხდა. მათ თითქოს და გაგვაცნეს მათი ე. წ. არგუმენტი, რომ თურმე პარტია „საქართველოსთვის“ ხელს უწყობს დავით კეზერაშვილს. ჩვენ კეზერაშვილს კი არ ვუწყობთ ხელს, პირიქით, ბატონი კეზერაშვილი, დარწმუნებული ვარ, რომ დამნაშავეა. ეს საქმე სიღრმისეულად უნდა იყოს გამოძიებული. თუმცა, მე იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ კეზერაშვილს, მილიარდ დოლარამდე, სამი წლის განმავლობაში საქართველოს შიგნით არ გააკეთებინებდნენ, თუ, როგორც მინიმუმ, ამ თანხებით არ ისარგებლებდნენ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ფიგურები და ლიდერები.

***– აქვე ჩნდება კითხვა, ხომ არ ეშინია ხელისუფლებას გახარიასი და მისი გუნდის? მაღალი თანამდებობის პირები იყავით, უმრავლესობა ძალოვან უწყებებში მუშაობდით. თავად გიორგი გახარია შს მინისტრი და შემდეგ პრემიერ-მინისტრი იყო. ცხადია, რომ ინფორმაცია ბევრი გექნებათ. ეს ხომ არ აშინებს „ქართულ ოცნებას“?***

– ჩვენი მხრიდან წამოვიდა ეს ინიციატივა რამდენიმე მიზნის გამო. პირველი ის, რომ ჩვენ ვართ ის გუნდი, რომელსაც ყველაფერი დააბრალეს, კორუფციის გარდა. იმ ადამიანებმა, რომლებიც ჩვენს გუნდში არიან, ბევრმა, მათ შორის მეც, მაღალ თანამდებობებზე ვიმუშავეთ, მაგრამ გონებაში არ გაგვივლია ფულის კეთება! სახელმწიფო სამსახური გვესმოდა სხვანაირად. ამ ადამიანებმა დღეს, ხელისუფლებაში ვინც არიან, წარმოიდგინეს, რომ თან ბიზნესმენები უნდა იყვნენ და თან უნდა იყვნენ ამავდროულად მაღალი თანამდებობის პირები. აკეთონ შავი ფული და შემდეგ ამ შავი ფულით დააფინანსონ არჩევნები. რეალურად, ეს ასე ამ ქვეყანაში არ გამოვა, ვერ გაგრძელდება და ნებისმიერ შემთხვევაში მათ, ადრე თუ გვიან, მოუწევთ ამ ყველაფრის გამოძიება.

***– თქვენს გუნდს აქვს ხელმისაწვდომობა ამ ინფორმაციებზე თუ არ გაქვთ?***

– ჩვენი დამატებითი ღირებულება, როგორც ამბობენ ხოლმე, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ზუსტად ვიცით, როგორ მუშაობს სახელმწიფო აპარატი. როგორ მუშაობს, როდესაც კეთილსინდისიერი ხელმძღვანელები ჰყავს და როგორ შეიძლება მუშაობდეს, როდესაც არაკეთილსინდისიერი ადამიანები, სრულად პოლიტიზირებულები, სრულად მართულები პარტიის მხრიდან, იწყებენ საკუთარი ინტერესების გატარებას.

ისიც ზუსტად ვიცით, რომ მილიარდ დოლარამდე ამ ქვეყანაში, აი ამ პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ბატონი კეზერაშვილი ვერ გააკეთებდა ვერანაირად!

***– თუ არ ექნებოდა ხელისუფლების მხარდაჭერა?***

– 101%-ით ვარ დარწმუნებული, რომ ასეა!

***– ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი პირდაპირ ხელს ადებს ლილუაშვილს, უჩა მამაცაშვილს და ფარცხალაძეს. უშუალოდ ესენი მონაწილეობდნენ და მფარველობდნენო?***

– სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ, როდესაც უშუალო მტკიცებულებები ხელში არ გვიჭირავს, ასე სახელები და გვარები ჰაერიდან არ მოგვაქვს. შემდგარი ფაქტი, რაც მაგიდაზე დევს, არის ერთი: გერმანელების ინიციატივით, სხვადასხვა პარტნიორების ინიციატივით, მათ შორის ძალიან ავტორიტეტული გამომძიებელი ჟურნალისტების მეშვეობით, დაიდო სქემა, რომლის მეშვეობითაც, ერთ-ერთ ყოფილ მაღალი თანამდებობის პირს, თურმე უშოვია მილიარდი დოლარი, ევროპელი პენსიონერების ხარჯზე. საქართველოს ტერიტორიის შიგნით! და ამას ხაზს ვუსვამ! „ოცნება“ იძახდა, როგორ შეიძლება აქ დამატებითი გამოძიებები, ამით გერმანულ გამოძიებას ხელი შეეშლებაო. მსგავსი აბსურდი არასდროს მომისმენია! ეს დანაშაული მოხდა ჩვენს ტერიტორიაზე და ესენი კიდევ აცხადებენ, გერმანელები გამოიძიებენ დანაშაულსო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დონის აბსურდში ცხოვრობენ.

***– ანუ, არ აწყობს დღევანდელ ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიება?***

– დღეს ამ ხელისუფლებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ეს არ იქნას გამოძიებული. თუმცა ამის მიუხედავად, ეს საქმე აუცილებლად იქნება გამოძიებული.

***– ბატონო კახა, დღეს „ოცნების“ რეიტინგი ძალიან დაბალია, თუმცა გაცილებით დაბალია ოპოზიციის რეიტინგი. ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიცია არათანმიმდევრულია, ვერაფერზე თანხმდება და 2024-ისთვის ძალიან გაუჭირდებათ პოლიტიკური სურათის შეცვლაო. რას ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს სიტუაციის შესაცვლელად?***

– საკმაოდ სერიოზული გამოწვევები იკვეთება, რომელიც გააჩნია როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, მკაფიოდ გასაანალიზებელია ეს ყველაფერი სამუშაო ელექტორატთან. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს ორი რამ: ერთი, ცვლილებები აუცილებელია იმისთვის, რომ 2024 წელს ქვეყანა მართლაც გაჩერებული მდგომარეობიდან უბრალოდ დაიძრა და მეორე, ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ დაიძვრება, სადღაც უფსკრულში არ გადაიჩეხება. ასევე, რისიც საზოგადოებას ასე ეშინია, ნაცმოძრაობის მობრუნების და მათი ერთპიროვნული მმართველობის, აი ეს ორი ფაქტორი რომ მაქსიმალურად იქნება გადაზღვეული.

# „2024 წლის არჩევნები ყველაზე ბინძური არჩევნები იქნება“

ნათია ხურცილავა

## სოსო ცინცაძე: „ოპოზიციას ლიდერი არ ჰყავს. ხალხთან დალაპარაკება არავის უნდა. 80 წლის ბაიდენმა ამერიკა შემოიარა და ამათ მცხეთაში ჩასვლაც ეზარებათ“

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



***– ბატონო სოსო, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის რა პოლიტიკური გადაჯგუფებაა მოსალოდნელი? ამბობენ, ოპოზიცია დაახლოებით სამ ჯგუფად იქნება წარმოდგენილი.***

– ჯერ არ ჩანს, არ გამოკვეთილა, როგორ შეიძლება ოპოზიცია გადაჯგუფდეს. სიმართლე გითხრათ, ძალიან ცუდი შანსები აქვს ოპოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ მთელი თავისი არსებობის მანძილზე ასეთი დაბალი რეიტინგი არ ჰქონია და ის ყველაზე ცუდი პერსპექტივით, ყველაზე დასუსტებულად მივა არჩევნებზე, მაინც მის ხელშია ყველაფერი. აქ გადამწყვეტი არის არა მმართველი ძალის სისუსტე, არამედ ოპოზიციის სისუსტე. დღეს ოპოზიცია ძალიან სუსტია. ასეთი სუსტი ოპოზიცია ჯერ არ გვყოლია.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება საქართველოს პოლიტიკის ისტორიაში ყველაზე ბინძური არჩევნები. ბრძოლა იქნება კბილებით, დაწერილი და დაუწერელი კანონებით. ამ არჩევნებზე ყველაფერი არის მოსალოდნელი. ეს არჩევნები ორივე მხრიდან აღქმული იქნება ყოფნა – არ ყოფნის საკითხად. სიმართლე გითხრათ, ასეც იქნება. ძალიან ბევრი პარტია, უბრალოდ, გაქრება პოლიტიკური ავანსცენიდან.

სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასა და მმართველ პარტიას შეუძლია 5%-იანი ბარიერის გადალახვა. სხვები ორ პროცენტს ვერ ცდებიან. რა საოცარია, ეს იციან ამ პარტიებმა, მაგრამ არაფერს არ აკეთებენ საარჩევნო ბარიერის დასაწევად. რატომ არ იბრძვიან ერთპროცენტიანი, ბუნებრივი ბარიერისთვის, ძალიან მიკვირს. გეგონება, „ოცნება“ მოწყალებას გაიღებს და ბუნებრივ ბარიერს აჩუქებს ოპოზიციას.

***– რა შემთხვევაში შეიძლება 5%-იანი ბარიერი დაწიოს ხელისუფლებამ?***

– თუ სერიოზული გამოსვლები იქნება ქუჩაში. 50-ათასიანი გამოსვლები, სადაც სწორედ ეს იქნება მოთხოვნა, რომ მრავალპარტიული პარლამენტი გვქონდეს. რომ პოლიტიკური პროცესი იყოს პარლამენტში და არა სხვაგან ან ქუჩაში. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება გარედან ზეწოლა საარჩევნო კანონმდებლობის შესაცვლელად, მაგრამ დღეს ამისთვის არაფერს არ აკეთებს ოპოზიცია.

ეს ის არჩევნებია, რომელზეც სერიოზულ გავლენას გარე ფაქტორები მოახდენს. პირველ რიგში, უკრაინის ომის ბედი. მეორე – თითქმის ერთდროულად არის ჩვენთან და ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნები. გააგრძელებს ბაიდენი თეთრ სახლში მუშაობს თუ ტრამპი დაბრუნდება. თუმცა, ამბობენ, რომ არ არის გამორიცხული, ტრამპს პოლიტიკური თანამდებობის დაკავება აეკრძალოს. არის დიდი საგარეო ფაქტორები, რომლებიც ასე პირდაპირ არ მოახდენს ჩვენს არჩევნებზე გავლენას, მაგრამ ირიბ გავლენას ნამდვილად იქონიებს.

***– დღეს ოპოზიციის ყველაზე დიდი შეცდომა რა არის?***

– ბევრი რამე, მაგრამ განსაკუთრებული არის თვითდარწმუნება. ხომ იცით, ნეტარ არიან მორწმუნენი. ხალხთან კომუნიკაცია არა აქვთ. არადა, საუბარია საქართველოზე. ჩინეთზე ხომ არ ვლაპარაკობთ ან რუსეთზე. ქვეყანა, რომლის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში ჩასვლას, სულ რაღაც ოთხი საათი სჭირდება. ოპოზიციას კი მცხეთაში ჩასვლა ეზარება. ტელევიზიებში გამოჩენა არავითარი შედეგის მომტანი არ არის.

ხალხთან დიალოგია საჭირო. მათი ლაპარაკის უკუშედეგი არ იციან. ხალხი რას ფიქრობს ამა თუ იმ საკითხზე, არ იციან. ასე წარმოუდგენელია. გასაგებია, რომ სოციალური სიდუხჭირეა, სილატაკეა ქვეყანაში. ასეთი კატასტროფული ფასები და დაბალი ხელფასი, ასეთი უმუშევრობა და მიგრაცია არასდროს არ ყოფილა. არ არსებობს ოჯახი, ემიგრანტი რომ არ ჰყავდეს, ეს ყველამ იცის, მაგრამ ამას შენ რითი უშველი, ეს აინტერესებს ხალხს. პრობლემაზე საუბარს ბისმარკობა არ სჭირდება, როგორ გადაჭრი ამ პრობლემას, ეს არის მნიშვნელოვანი. აქ არის ბისმარკობა საჭირო.

მე მაინც მგონია, რომ ქვეყნის და არა ოპოზიციის ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ არ ჩანს ალტერნატივა. ყველაზე დიდ პრობლემად სწორედ ეს მიაჩნია ამომრჩეველს. ეს ჩანს ამ გამოკითხვებში. ხალხთან კონტაქტი დაკარგა ოპოზიცია, რაც ძალიან დიდი პრობლემაა. იმას მაინც ვერ ხედავენ, 80 წლის ბაიდენმა როგორ შემოიარა მთელი ამერიკა. როგორ ელაპარაკებოდა სხვადასხვა ჯგუფებს. როგორ უსმენდა მათ. როგორ აინტერესებდა მათი პრობლემები. ჩვენთან მთავარია, კაბინეტში იყვნენ და რაღაც დაფინანსებას იღებდნენ, მეტი არ აინტერესებთ. ასე არაფერი გამოვა. ყველას პირველობა უნდა. ყველას ლიდერობა უნდა. საქმისთვის გაერთიანება და საკუთარი თავის უკან დაყენება არავის არ უნდა.

თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, ლიდერი მართლაც არ ჩანს. ისეთი ლიდერი, რომელიც შეძლებდა მასების აყოლიებას, ხალხში რწმენის გაჩენას. უდავო ლიდერი იყო ზვიადი, რომელსაც ხალხი გაყვა. ლიდერი იყო შევარდნაძე, ლიდერი იყო მიშა, რომლებსაც ხალხი გაყვა, ირწმუნა მათი. დღეს ასეთი ლიდერი ობიექტურად არ ჩანს. ეს სერიოზული პრობლემაა. მით უფრო მაშინ, როდესაც ასეთი გადამწყვეტი არჩევნებია. 2024 წლის არჩევნები იქნება ერთგვარი წყალგამყოფი და მისი შედეგები დიდხანს იქონიებს გავლენას ქვეყანაზე, თუ როგორი იქნება მომავალში ჩვენი ქვეყანა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბიბილაშვილი
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დიზაინერი – ზურაბ მჭედლიშვილი
გავრცელების სამსახური – მურად ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „პუტინი ზელენსკიზე „ნადირობას“ გამოაცხადებს“

## ამირან სალუქვაძე: „კრემლის თავზე სათამაშო აფეთქება იყო... თუ უკრაინამ განახორციელა შეტევა, რატომ უნდა უარყოფდეს?“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.**

***– ბატონო ამირან, რა აზრის ხართ კრემლზე დრონით თავდასხმის თაობაზე? ცოტა საეჭვო ფაქტი ხომ არ არის?***

– უკრაინის ხელისუფლება უარყოფს ამ ე.წ. შეტევასთან კავშირს, მაგრამ ჩვენთან ნაცმოძრაობა რატომღაც ცდილობს, უკრაინას მიაწეროს. სოციალურ ქსელში უკრაინის საწინააღმდეგო კამპანია აქვთ გაჩაღებული, რაც გაუგებარია.

თუ თავს უკრაინის მეგობრად აცხადებ, მისი ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია უნდა გაიზიარო. უნდა უარყო, ან უნდა გაჩუმდე. ნაცები რატომღაც ირჩევენ იმ ხაზს, რასაც რუსეთი ლაპარაკობს, რომ უკრაინის მიერ განხორციელებული შეტევა იყო. ეს ერთი მხარე.

ახლა თვითონ იმის შესახებ, რაც მთელმა მსოფლიომ ვიდეოთი იხილა. ვიდეოში ჩანს დრონი, რომელიც კრემლის ტერიტორიაზე ეშვება, იქ, თითქოს შენობის თავზეა, მაგრამ გვერდიდან გადაღებული კადრი, შეიძლება, არასწორად გადმოსცემდეს და ვიზუალურად შეცდომაში შეხვიდე, კონკრეტულად, სად ეცემა, შენობაზე თუ შენობის უკან. კადრში ჩანს, თითქოს დროშასთანაა, მაგრამ შეიძლება უკან იყოს.

***– მგონი, დროშა არც შერხეულა.***

– დროშა არ შერხეულა, მაგრამ საუბარია 100 გრამი ტროტილის აფეთქებაზე, იქ დროშა რამ უნდა შეარხიოს? აფეთქების დროს ისეთი განათება და დაკვამლიანებაა, რომ იმ მომენტში დროშა არ ჩანს. თუ ჩვენ დროშის მატერიაზე ვსაუბრობთ, მაგრამ რაზეც დროშაა დამაგრებული, საკმაოდ მყარია. ცოტა უფრო მძლავრი აფეთქებაც ვერ შეარყევს.

***– ანუ მცირე ზომის აფეთქება იყო?***

– რა თქმა უნდა, პატარა დრონია. ალბათ, 100-200 გრამი ტროტილი იქნებოდა გამოყენებული, რომელიც ჰაერში აფეთქდა. 200 გრამი ტროტილი ცოტა არ არის, მაგრამ გააჩნია სად ფეთქდება. როცა ჰაერში ფეთქდება, სიძლიერე არ აქვს. თუ შენობაში, დახურულ სივრცეში ან ავტომობილშია, მაშინ სხვა ძალა აქვს.

აფეთქება კრემლის ამხელა ტერიტორიაზე მოხდა. მაშინვე კრემლის პროპაგანდა ჩაირთო. ოფიციალური განცხადება გაკეთდა, რომ პუტინზე განხორციელებული შეტევა იყო. პუტინი რომელ შენობაშიც ზის, იმის სახურავსაც რომ მოხვედროდა და იქ აფეთქებულიყო, პუტინს რომ არაფერი მოუვიდოდა, ეს ხომ ყველამ იცის.

პუტინის შეჯავშნულ მანქანასაც რომ მოხვედროდა, იმასაც არაფერი მოუვიდოდა. პუტინი კრემლის ეზოში თუ გაივლიდა და დრონი დაეცემოდა თავზე, ან რამდენიმე მეტრში, მაშინ შეიძლება პუტინს რაიმე მოსვლოდა. ძალიან ბავშვური შეფასებაა, რომ პუტინზე განხორციელდა შეტევა და საპასუხოდ სამიზნედ ზელენსკი ამოიღეს.



მინდა აღვწერო ის, რაც დავინახე. გამოჩნდა დრონი, რომელიც ეშვება კრემლის ტერიტორიაზე, დაბლა, შენობასთან ახლოს, მაგრამ არ ჩანს ის, რითაც გაანეიტრალეს. თქვეს, რომ რაღაცით გაანეიტრალეს.

***– რით გაანეიტრალეს?***

– თავდაცვის რაკეტა არ ჩანს, რომ, ვთქვათ, მოხვდა დრონს და ააფეთქა. განაცხადეს, თითქოს ელექტრონული საშუალებებით მართვის სისტემაზე ზემოქმედება მოახდინეს. რა აზრი ჰქონდა, არ ვიცი. როგორც ჩანს, ჰაერში აფეთქდა. თვითლიკვიდაცია იყო, თუ დრონი როგორ აფეთქდა, მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტია, რომ დრონი ჰაერში აფეთქდა.

იმის მართვა, რომ დრონი, კონკრეტულად, იმ ადგილზე აფეთქებულიყო და ეს უკრაინის ტერიტორიიდან განხორციელებულიყო, შეუძლებელია. შეიძლება ჯპს-ით კონკრეტულ წერტილამდე მივიდეს, იქ დაეცეს და დაცემის შედეგად აფეთქდეს, ან ჰაერში აფეთქდეს. გააჩნია, დრონზე რა ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო. დრონის ტიპიც არ ვიცით, რომ რაღაცაზე სერიოზულად ვიმსჯელოთ.

არის ვერსია (არ აქვს მნიშვნელობა, ეს დარტყმა უკრაინამ განახორციელა თუ რუსეთმა), რომ დარტყმა შორიდან კი არა, სადღაც მიმდებარე ტერიტორიიდან, მოსკოვის ოლქიდან თუ შიგ მოსკოვიდან, ანუ მსგავსი ქმედების განხორციელება შეიძლება თუ საქმე დივერსიასთან გვაქვს.

რუსეთი მომხდარს ტერაქტად აფასებს. როცა ორ ქვეყანას შორის საომარი ვითარება და ორ ქვეყანას შორის ომია, მომხდარის ტერაქტად შეფასება არასწორია. რომელ ტერაქტზეა საუბარი, როდესაც რუსეთი ერთ წელზე მეტია უკრაინის მთელ ტერიტორიას ბომბავს, დაწყებული დონბასიდან, დასავლეთ უკრაინამდე. მათ შორის, დედაქალაქ კიევსაც.

რუსეთს დაუბომბავს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ობიექტები, მათ შორის, საცხოვრებელი კორპუსებიც. რუსები ამბობენ, კორპუსებს საჰაერო თავდაცვის რაკეტები ეცემაო, შეიძლება ასეთი შემთხვევები იყო, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ რუსული რაკეტები საცხოვრებელ კორპუსებს მოხვედრია, ანუ ეს შეიძლება ტერაქტად შეფასდეს, მაგრამ ომია, რომელ ტერაქტებზეა საუბარი.

თუ რუსეთში, როგორც უკრაინისთვის მტრის ზურგში, მსგავსი ხდება, ეს არის დივერსია და არა ტერაქტი. ტერაქტს აბსოლუტურად სხვა შეფასება აქვს.

თუ იმ კუთხით შევხედავთ, რომ, დავუშვათ, დრონით შეტევას დაშინების მიზანი ჰქონდა, მაშინ შეიძლება ასე ვთქვათ, მაგრამ ორი ვერსიაა. ერთია ის, რომ უკრაინამ განახორციელა (თუმცა, უკრაინა ამას უარყოფს), მეორეა, რუსეთმა შემდგომი მიზნებისთვის თავად მოაწყო.

თუ უკრაინამ განახორციელა შეტევა და უარყოფს, რატომ უნდა უარყოფდეს? დავუშვათ იმიტომ, რომ რუსეთმა ამ შეტევის გამო შური არ იძიოს. რუსეთი ხომ ამას მაინც განახორციელებს.

ვერ ვხედავ საბაბს, თუ კრემლს დრონით უკრაინამ შეუტია, მან ეს უარყოს. რატომ უნდა უარყოს, უფლება არ აქვს, როდესაც რუსეთი შეიჭრა უკრაინის ტერიტორიაზე, რასაც კრემლიც არ უარყოფს, ანუ რუსეთი არის აგრესორი, ორ ქვეყანას შორის ომია და თუ რუსეთი ბომბავს უკრაინის ტერიტორიას სიღრმეში, ზურგში, რატომ არ აქვს უკრაინას იგივეს განხორციელების უფლება.

ამის გამო, ვერ ვხედავ მიზეზს, უკრაინამ ასეთი შეტევის განხორციელება უარყოს. ოფიციალური კიევი აღიარებს თუ არა, ამას რუსეთის მხრიდან საპასუხო რეაქცია მაინც მოჰყვება.

***– ამერიკელებმა თქვეს, თვითონ რუსეთმა განახორციელა, ანუ დადგა ეს ფაქტი. დავუშვათ, ეს რუსეთმა მოაწყო. მიზანი რა შეიძლება იყოს?***

– ასეთი ვერსიები თავიდანვე გამოითქვა, ანუ დავუშვათ, რუსეთმა ეს თავის თავს მოუწყო. მიზანი შეიძლება იყოს საგარეო და საშინაო მიზნები. მათი მიზანი ქვეყნის შიგნით მოსახლეობის ინფორმირებაა, რასაც ახლა ლაპარაკობს პიარმანქანა, რომ უკრაინა ამ დონეზე მივიდა, ყველა წითელი ხაზი გადალახულია.

ამის იქით რაღა უნდა იყოს, პირდაპირ ქვეყნის გულზე, კრემლზე მიიტანეს შეტევა. ახლა საზოგადოებაში ამის აჟიტირება მიდის. ყველა თოქ შოუს მთავარი თემა და მთავარი ხაზი ეს არის. რაიმე კითხვა კიდევ დარჩა? – მიმართავენ საზოგადოებას, ე.ი. საკუთარი მოსახლეობის კიდევ მეტად მობილიზება უნდათ. მობილიზაციის ახალი ტალღა საჭირო თუ გახდა, საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა აღარ იყოს.

თუ საზოგადოებაში წინააღმდეგობა იქნება, იმის საფუძველი ჰქონდეთ, ომისთვის ახალი რესურსების მობილიზება, უფრო მეტი რეპრესიული ზომებით განახორციელონ. ასევე შიდა მიზანს ემსახურება საზოგადოებაში რუსეთის აგრესიის გამართლებაც. ისინი ყოველთვის ამაზე საუბრობენ. როცა დანაშაულს ჩადიხარ, ყოველთვის გაქვს კომპლექსი. ამიტომ მუდმივად ცდილობენ იმის ჩვენებას, რუსეთი უკრაინაში რომ არ შეჭრილიყო, მაშინ უკრაინა თავს დაესხმებოდა. ეს პუტინის პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი ხაზია. ეს აქტიც, შეიძლება ამისთვის იყოს გამოყენებული.

***– გარე მიზანი რა არის?***

– გარეთ ერთ-ერთი მთავარი მიზანია, პრეზიდენტ ზელენსკის სამიზნედ ამოღება. ეს მოსაზრება სოცქსელში ჩემს გვერდზე გამოთქმული მქონდა, რაც თოქ შოუში ერთ-ერთმა რუსმა პოლიტოლოგმა გაიმეორა.

რამდენიმე თვის წინ, ისრაელის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პუტინმა მას სიტყვა მისცა, ზელენსკის არ მოკლავდა. შემდეგ მე დავურეკე ზელენსკის და ვუთხარი, პირადად შენ პუტინი არ გაგანადგურებსო. ამის შემდეგ ზელენსკიმ ვიდეომიმართვა ჩაწერა.

დღეს კი, რუსეთის პროპაგანდა ალაპარაკდა იმაზე, ჩვენ ის დაპირება, რომელიც პუტინმა ისრაელის პრემიერ-მინისტრს მისცა, უკან

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მე მჯერა, საქართველო გახდება დიდი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და საქართველო შევა ევროპაში საკუთარი ტრადიციებით“

– მე მჯერა, საქართველო გახდება დიდი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და საქართველო შევა ევროპაში საკუთარი ტრადიციებით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ევროპის დღის“ გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბოლო 10 წლის განმავლობაში ხელისუფლებამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ საქართველო კიდევ უფრო დაახლოებოდა ევროპას.

– მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო. პირველ რიგში, მივესალმები ევროკავშირის ელჩს, ბატონ პაველ ჰერჩინსკის, ევროკავშირის ელჩებს, პარლამენტის თავმჯდომარეს, თბილისის მერს, პატივცემულ სტუმრებს. მინდა ჩემი გულწრფელი აღფრთოვანება გამოვხატო ბატონი ელჩის ქართულის ცოდნით. კიდევ ერთხელ, მინდა მას მადლობა გადავუხადო, რომ საზოგადოებას მიმართა ქართულ ენაზე.




ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ დღეს „ევროპის დღეს“ აღვნიშნავთ, ქართველები და ევროპელები ერთად. ვინაიდან, ეს დღე არის, როგორც ევროპისთვის და ევროპელებისთვის, ასევე ქართველებისთვის. ქართველები ყოველთვის ისტორიულად მივიჩნევდით ჩვენს თავს ევროპის ნაწილად. შესაბამისად, ჩვენი გაცხადებული მიზანია, რომ გავხდეთ ევროპული დიდი ოჯახის სრულფასოვანი წევრები. თქვენ იცით, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დაახლოებოდა ევროპას. მე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ყველას, რომ სწორედ ჩვენი ხელისუფლების დამსახურება არის ასოცირების შეთანხმების გაფორმება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება, უვიზო რეჟიმი და ევროპული პერსპექტივის მონიჭება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად გვესმის და გვაქვს გააზრებული, რომ ეს მოითხოვს კიდევ უფრო მეტი საქმის გაკეთებას, მეტი რეფორმების განხორციელებას იმისთვის, რომ ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს ევროპას, – განაცხადა პრემიერმა.

კანდიდატის სტატუსზე საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ სტატუსის მინიჭება არის სიმბოლური აქტი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

– მჯერა, რომ ჩვენი ევროპელი მეგობრები, ევროპული სახელმწიფოები წელს მიიღებენ ერთადერთ სწორ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და საქართველოს და ქართველ ხალხს მიანიჭებენ კანდიდატის სტატუსს, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი, ჩვენი მთავრობა, ჩვენი ხელისუფლება იმსახურებს კანდიდატის სტატუსს. ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად გვესმის, რომ სტატუსის მინიჭება არის სიმბოლური აქტი, მაგრამ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

შესაბამისად, კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო ჩვენი ხელისუფლების სრული მზაობა იმისათვის, რომ გავაგრძელოთ რეფორმები, რომელიც არის, პირველ რიგში, აუცილებელი ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის და მეორე რიგში, ეს არის კიდევ უფრო მეტად დამაახლოვებელი ჩვენს ევროპელ მეგობრებთან და საზოგადოებასთან.

ჩვენ ევროპასთან და ევროპელ ხალხთან გვაკავშირებს ძალიან ბევრი საერთო ღირებულება და ფასეულობა. პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ეს ფასეულობები ეფუძნება ჩვენს ქართულ, იდენტურ, ქრისტიანულ ღირებულებებს და ამაზე არის დაფუძნებული თანამედროვე ევროპაც.

შესაბამისად, ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო ელჩებო, პატივცემულო სტუმრებო, მე მჯერა, რომ საქართველო გახდება დიდი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და საქართველო შევა ევროპაში საკუთარი ტრადიციებით, დიდი მადლობა. ვუსურვებ ევროპას მშვიდობას, სტაბილურობას, კეთილდღეობას ჩვენს ხალხებს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ექსპო ჯორჯიაში“ გამართულ ღონისძიებაზე შეკრებილ სტუმრებს სიტყვით ასევე მიმართეს საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ.

სტუმრებმა მოისმინეს საქართველოსა და ევროკავშირის ჰიმნები.

პრემიერ-მინისტრმა „ექსპო ჯორჯიაში“ წარმოდგენილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტენდები დაათვალიერა.

„ევროპის დღის“ გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები და საელჩოს წარმომადგენლები.



## მედვედევმა აურია

კარს მომდგარი უკრაინელთა კონტრშეტევის წინ, ბევრ რუს ჩინოვნიკს ფსიქიკა ღალატობს. მათ რიცხვს განეკუთნება რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე დიმიტრი მედვედევიც.

– მდგომარეობა უკრაინაში ჩიხშია შესული! დადგა დრო, როცა ტაქტიკური ბირთვული იარაღი უნდა გამოვიყენოთ! სხვაგვარად ამ ომს ვერ გავაჩერებთ! – ამბობს მედვედევი.

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე მარტოოდენ ამას როდი დასჯერდა: „დადგა დრო, როცა უკრაინის პრეზიდენტის ზელენსკის ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს!“ – თქვა ჭკუის კოლოფმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## ორბანი პუტინს იცავს



უნგრეთის პრემიერი და რუსეთის გავლენის აგენტი ორბანი უკვე აშკარად მხარს უჭერს პუტინს. თავის უკანასკნელ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ უკრაინა ხელოვნურად შეკოწიწებული სახელმწიფოა. მის შემადგენლობაში მოექცნენ როგორც ძირძველი რუსული, აგრეთვე უნგრული მიწებიც.

– მხედველობაში მაქვს იმიერკარპატისპირეთი, ანუ ზემო უნგრეთი, – აცხადებს ორბანი.

უნგრეთის პრემიერის აზრით, რუსეთი აბსოლუტურად მართალი იყო, როცა უკრაინაში ომი გააჩაღა.

უნგრეთის პრემიერის აზრით, დასავლეთმა უნდა აირჩიოს: ან უკრაინის დაშლა, ან გლობალური ბირთვული კატასტროფა. არჩევანი დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოკუპირებული აფხაზეთის ოპოზიცია ანქვაბს აუმხედრდა

## „საკითხი აფხაზეთის ხვალინდელი დღის ყოფნა-არყოფნას ეხება“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. უზენაესმა სასამართლომ 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა საქართველოს მოქალაქე ქრისტინე თალაკანძეს. მას ბრალად დასდეს იმ ცნობების მოგროვება, რომელიც, სასამართლოს აზრით, წარმოადგენს სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებას. აფხაზეთის საზოგადოებას ამის გამო აღტაცება არ გამოუხატავს. ბევრს დაებადა კითხვა – რატომ არ აძლევენ პასუხისგებაში იმათ, ვინც დაპატიმრებულ ქალს საიდუმლო ინფორმაციით ამარაგებდა?

დღეს სოხუმის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამაზე მეტად სხვა საკითხები აწუხებთ. საზოგადოება სხვადასხვა მმართველების დროს ბევრჯერ გამოსულა ქუჩაში, არაერთხელ მოუთხოვია ხელისუფლების გადადგომა, რამდენჯერმე მოხდა დე ფაქტო ხელისუფლებების ძალადობით შეცვლა.

ამჟამად ოკუპირებულ აფხაზეთში მორიგი მღელვარება მწიფდება. ახლანდელ სიტუაციას თან ერთვის ურთულესი გეოპოლიტიკური ფონი და აფხაზეთში ბოლო ხანს (განსაკუთრებით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში) გაჩენილი შეშფოთება „დამოუკიდებლობის“ შეზღუდვის და შესაძლო დაკარგვის გამო.

ოკუპირებულ აფხაზეთს „მარჩენალი“ რუსეთი ავიწროებს. აფხაზეთის საზოგადოების ერთსულოვანი მოსაზრებით, ბიჭვინთის აგარაკის და მისი მიმდებარე ტერიტორიის რუსეთისთვის გადაცემა ზღუდავს აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“, ანტიკონსტიტუციურ შეთანხმებაზე ხელის მომწერი აფხაზი ჩინოსნები კი დამნაშავეები არიან. შესაბამის დოკუმენტს ხელი მოეწერა, თუმცა, აფხაზეთის პარლამენტს (სახალხო კრებას) მისი რატიფიკაცია არ მოუხდენია. წინათ ამის და სხვა პრობლემების გამო პრეტენზიებს უყენებდნენ უმთავრესად დე ფაქტო პრეზიდენტს, ასლან ბჟანიას. ახლა აფხაზეთის ოპოზიცია დე ფაქტო პრემიერ ალექსანდრე ანქვაბსაც გადასწვდა.

გაერთიანებულმა ოპოზიციამ მაისის შუა რიცხვებში მასშტაბური აქცია დააანონსა. ანქვაბს და მთავრობის ზოგიერთ სხვა წევრს ბიჭვინთის აგარაკთან დაკავშირებული პრობლემის გარდა, ედავებიან ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გაუტარებლობას, არასწორ „საგარეო პოლიტიკას“ (ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან აფხაზეთის იზოლაციას), დანარჩენ საქართველოსთან ვაჭრობის ლეგალიზებას, საზოგადოებასა და ოპოზიციასთან ურთიერთობის გაწყვეტას და სხვა.

ოთხმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მიმართა აფხაზეთის სახალხო კრების დეპუტატებს, მოახდინონ რიგგარეშე სესიის მოწვევის ინიცირება, სადაც განიხილავენ ანქვაბისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების საკითხს. ამ თემაზე „ეხო კავკაზასთან“ განმარტებები გააკეთა პარტია „სახალხო ერთიანობის ფორუმის“ ლიდერმა ასლან ბარციცმა. მის მიერ გამოყენებული ზოგიერთი ტერმინი ეწინააღმდეგება იურიდიულ ნორმებს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

***– რას შეიცავს თქვენი წერილი პარლამენტისადმი?***

– საკანონმდებლო ორგანოს მივმართეთ, რათა ჩვენმა დეპუტატებმა შეაფასონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესი. კერძოდ, მინისტრთა კაბინეტის მუშაობა. ჩვენი აზრით, სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მთავრობას არ გამოუჩენია მისწრაფება, რათა შეეცვალა ეკონომიკური სიტუაცია. გარდა ამისა, მინისტრთა კაბინეტის წევრებისა და თავმჯდომარის ხელმოწერების უკან დგას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკი და ბევრი სხვა.

***– წერილში საუბარია მთავრობის მიმართ უნდობლობის ვოტუმზე. როგორ ხედავთ ამ საკითხის გადაწყვეტას? აქვს თუ არა პარლამენტს მექანიზმები ამაზე გადაწყვეტილების მისაღებად?***

– ასეთი მექანიზმები პარლამენტს აქვს. ამიტომაც მივმართეთ საკანონმდებლო ორგანოს. მსგავსი რამ პარლამენტის პრაქტიკაში ყოფილა.

***– რა პროგნოზი გაქვთ? როგორი დამოკიდებულება ექნება პარლამენტს ამ წინადადების მიმართ?***

– აფხაზეთში მოქმედ პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათ შორის, პარლამენტის დეპუტატებს, თავისი პასუხისმგებლობა აქვთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, იმ პროცესების მიმართ, რომლებსაც მოაქვს სერიოზული საფრთხე დამოუკიდებლობისათვის. საკითხი აფხაზეთის ხვალინდელი დღის ყოფნა-არყოფნას ეხება. ამიტომ, ეს იქნება თავისებური სიმწიფის გამოცდა. ვიმედოვნებთ, რომ მიღებული იქნება პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება.

***– მთავრობის გადადგომის მოთხოვნა დიდი ხანია ისმის. ოპოზიციის ბოლო მოთხოვნამ მთავრობის გადადგომაზე პრემიერ-მინისტრი გააცინა. თქვენი აზრით, რა ამხიარულებს პრემიერს?***

– კოლეგებთან შევთანხმდით, რომ დაგვეყენებინა არა სახელმწიფოს მეთაურის, არამედ, მთავრობის თავმჯდომარის საკითხი. გვინდოდა საკითხები გარკვეულ ჩარჩოში გადაგვეწყვიტა, რათა არ დაგვეშვა კონფრონტაცია.

რაც შეეხება პრემიერის იუმორისტულ განწყობას, ვიტყვი, რომ მას მთელი თავისი საქმიანობის განმავლობაში ძალიან სერიოზული შეცდომები აქვს დაშვებული, რამაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია რყევები.

ათასობით ადამიანი ცხოვრობს ხელფასიდან ხელფასამდე, პენსიიდან პენსიამდე გაზრდილი ფასების პირობებში. ამ დროს ვიღაცას ეცინება. იქმნება განცდა, რომ მაღალი რანგის ცალკეულ ჩინოსანს აყვავებული ბიზნესი აქვს. ეს ადამიანები ამბობენ, ბიზნესი არ გვაქვსო, მაგრამ მათი სიმხიარულეც ადასტურებს, რომ ისინი მილიონებსა და მილიარდებს ატრიალებენ. უპრობლემოდ ცხოვრობენ და რატომ არ გამხიარულდებიან?!

# „აფხაზეთი იღუპება, დიდი საფრთხის წინაშეა“

## ჯემალ გამახარია: „რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიას სანქციების გვერდის ასავლელად იყენებს“



„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ჯემალ, ერთმა აფხაზმა ახალგაზრდამ დაურ ბუავამ თბილისში, რუსთაველის გამზირზე ერთგვარი ექსპერიმენტი ჩაატარა. ხელში ეჭირა ბანერი წარწერით: „მე აფხაზი ვარ. თუ თვლი, რომ ძმები ვართ, ჩამეხუტე“. ვიდეოში ჩანს, რომ ადამიანები მას ეხუტებიან და სიყვარულს უდასტურებენ. რას ნიშნავს ეს? თქვენთვის რაიმეს მანიშნებელი თუ არის?***

– შემიძლია მხოლოდ მივესალმო ამ ექსპერიმენტს, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს ექსპერიმენტი ერთ რამეს ადასტურებს – მიუხედავად მომხდარისა, აფხაზების მიმართ სიძულვილი, მტრობა ქართველებში არც დღეს არსებობს, არც არსებობდა და არც ხვალ იარსებებს. ასე რომ, ეს ძალიან საინტერესო და ძალიან კარგი ექსპერიმენტია.

***– ამას აფხაზური საზოგადოება როგორ გაიგებდა?***

– აფხაზეთში მის აქციას როგორ შეხედავენ, არ ვიცი. ეს ბიჭი ორი წელია, რაც თბილისში ცხოვრობს. ოფიციალურად მოღალატედაა გამოცხადებული. სინამდვილეში მოღალატე ვინ არის, ამას ისტორია გაარკვევს.

მოღალატეები არიან ისინი, ვინც აფხაზეთს რუსეთისკენ მიაქანებენ. დღეს აფხაზეთში ასეთი ადამიანები ე.წ. დე ფაქტო ხელისუფლებაში არიან. დღეს აფხაზეთში რაც ხდება, არ შეიძლება ჭეშმარიტ აფხაზეთს არ აწუხებდეს. აფხაზეთი ზუსტად დღეს იღუპება.

***– როგორ?***

– დღეს რუსეთი აფხაზეთს თავიდან ბოლომდე ეუფლება – ეკონომიკურად, პოლიტიკურად და ყველა თვალსაზრისით. აფხაზეთი ძალიან დიდი საფრთხის წინაშეა. ამიტომ აფხაზი საზოგადოება, რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს, დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგად შეაფასებს ამ ექსპერიმენტს და მიესალმება მას, ისევე, როგორც ჩვენ მივესალმებით.

***– კონკრეტულად, რა საფრთხე ემუქრება დღეს აფხაზეთს? ამდენი წელი გავიდა, რუსეთის მხრიდან გარკვეული ქმედებები განხორციელდა, რაც საფრთხის შემცველი იყო. დღეს რუსეთი საფრთხის შემცველს რას აკეთებს?***

– რუსეთი დიდი ხანია საფრთხის შემცველ ქმედებებს ახორციელებს, მაგრამ დღეს განსაკუთრებით გააქტიურებულია და აფხაზეთის ანექსიის პოლიტიკას ატარებს. აფხაზეთი დიდი ხანია რუსეთის მიერაა ოკუპირებული, ამიტომ ახლა ანექსიის პოლიტიკას ადგას.

ისეთი ხელშეკრულებები თუ შეთანხმებებია დადებული აფხაზეთსა და რუსეთს შორის და ისეთი პროექტებია მომზადებული, რომელთა განხორციელების შემდეგ, აფხაზეთი რუსეთის შემადგენელი ნაწილი გახდება. ყოველ შემთხვევაში, დე ფაქტო მაინც.

რუსეთს აფხაზეთის დამოუკიდებლობა მიზნად არასოდეს ჰქონია. რუსეთის მიზანი ყოველთვის აფხაზეთის ხელში ჩაგდება იყო, რაც გააკეთა იმ ფორმით, რასაც წლებია ვხედავთ.

რუსეთმა ვითომ ჯერ დამოუკიდებლობა აღიარა, რომ აფხაზეთი საქართველოსაგან მოეწყვიტა. მერე უკვე, ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებდა ამ პოლიტიკას, მაგრამ დღეს აფხაზებს არანაირი სხვა გამოსავალი არ გააჩნიათ,

***– რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ ეკონომიკურ მხარეს. კრემლმა აფხაზეთში შექმნა ისეთი ეკონომიკური ვითარება, რომ რუსეთის გარეშე ისინი ვერანაირად ვერ იარსებებენ. ამ ფაქტორს რუსეთი თავის სასარგებლოდ იყენებს.

ისეთ ე.წ. შეთანხმებებს აწერინებს ხელს, რომელთა რეალიზება აფხაზეთს იმ მოჩვენებით დამოუკიდებლობასაც დააკარგვინებს, რომელიც გააჩნიათ. ამის უდიდესი საფრთხეა, რასაც ახალგაზრდები ხედავენ.

ჩემი აზრით, ამ საშიშროებას ემსახურება ახალგაზრდა დაურ ბუავას ექსპერიმენტი, აჩვენოს იქ, გაღმა, რომ აქ არიან ადამიანები, რომლებსაც აფხაზები უყვართ.

ჩვენი მოსახლეობის 99% ზუსტად ისეა განწყობილი, როგორც ამ ექსპერიმენტშია, როგორც დაურ ბუავას ეხუტებოდნენ.

***– თქვენ თქვით, რუსეთი ცდილობს აფხაზებს ანექსიაზე ხელი მოაწერინოსო. ე.წ. ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა ხელი რომ არ მოუწერონ? თქვენ ბრძანეთ, ოფიციალურადაც რომ გააფორმოსო.***

– საუბარია არა ანექსიაზე, არამედ მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკური ვითომ შეთანხმებებზე, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ ანექსიისკენ მივყავართ. პირდაპირ ანექსიაზე კი არ აწერენ ხელს, იქ სიტყვა „ანექსია“ არ ეწერება, არამედ, ვითომ აფხაზებზე ზრუნავენ. ცდილობენ ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებას. ასეთი დოკუმენტი არსებობს.

***– ბოლო დროს ინფორმაცია გავრცელდა, რომ რუსეთმა აფხაზეთში რკინიგზა და საზღვაო ინფრასტრუქტურა შეაკეთა.***

– რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიას სანქციების გვერდის ასავლელად იყენებს. ეს კარგად არის ცნობილი. ამის შესახებ ყველამ იცის, რასაც არც აფხაზები მალავენ და არც რუსები. სანქციებისთვის გვერდის ავლა ოკუპირებული ტერიტორიების მეშვეობით ხდება და არა საქართველოს მეშვეობით, როგორც ზოგიერთებს სურთ წარმოაჩინონ.

# „პუტინი ზელენსკიზე „ნადირობას“ გამოაცხადებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

უნდა გავიწვიოთო. ე.ი. ამით რუსეთი აცხადებს, რომ თუ ადრე სიტყვა მქონდა მიცემული, ზელენსკი ჩვენი სამიზნე არ იქნებოდა, დღეს ზელენსკიზე შეიძლება ნადირობა გამოცხადდეს. თუმცა ამას პუტინი და სხვები ღიად არ იტყვიან, მაგრამ პროპაგანდისტებსა და პოლიტოლოგებს დაავალებენ.

გამორიცხული არ არის, მას შემდეგ, რაც ზელენსკი (ვიზიტითაა) უკრაინაში დაბრუნდება, მასზე შეიძლება განხორციელდეს როგორც ტერაქტები, ისე სარაკეტო იერიშები. შეიძლება ეს იყო საპასუხო ზომა.

მეორე – ახლო მომავალში შეიძლება დაიწყოს იერიშები, კონკრეტულად კიევსა და ისეთ ობიექტებზე, რომელზეც რუსეთს შეტევები არ განუხორციელებია. ეს იქნება ინფრასტრუქტურა, ენერგოობიექტები (გარკვეულ სიმძლავრემდე). აქამდე გარკვეულ სიმძლავრემდე არ ახორციელებდნენ

ალბათ, არ უნდოდათ შეექმნათ ვითარება, რომლის დროსაც დაადანაშაულებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ზიანის მიყენებაში. ისიც ომის ერთ-ერთი დანაშაულია, როდესაც მშვიდობიან მოსახლეობას უქმნი საფრთხეს და ჰუმანიტარულ კატასტროფას იწვევ.

დღეს, შეიძლება რუსეთი აღარ მოერიდოს მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული კატასტროფის მოწყობას. თუ ეს კრემლის მოწყობილია, ერთ-ერთი მიზანი, შეიძლება, ეს იყოს, ანუ ერთი მიზანი შეიძლება ზელენსკის მიზანში ამოღება იყოს, მეორე – საომარი მოქმედებების უფრო მწვავე ფაზაში გადატანა – არა მხოლოდ სამხედრო ობიექტების განადგურება, არამედ მოსახლეობის დათრგუნვა.

ანუ ისეთი პირობების შექმნა, რომ ხელისუფლებაზე ზემოქმედება თვითონ მოსახლეობამ მოახდინოს.

მტკიცებით ვერ ვიტყვი, მაგრამ იმ ვერსიისკენ ვიხრები, რომ ძალიან ისეთი, სათამაშო აფეთქება იყო, არ ვიცი, კრემლისთვის რა ზიანი შეიძლებოდა მოეტანა. რუსები „ხლაპუშკებს“ რომ ეძახიან, სწორედ ისეთი იყო. კრემლისთვის კოღოს კბენასავითაა.

***– შეიძლება რეპუტაციულ ზიანზეც ილაპარაკო. განაცხადეს, გამანადგურებელი იარაღის გამოყენებისა და ზელენსკის ლიკვიდაციის შესაძლებლობაზე. რუსეთში ეძებდნენ თითქოსდა უკრაინის დროშის ფერებში შეღებილ მტრედს, რომელიც დანაღმულ ფოთლებს ისროდა. ეს ყველაფერი იმას ხომ არ ნიშნავს, რუსეთს საქმე ცუდად ჰქონდა, თავისი ნამოქმედარიდან უკან დასაბრუნებელ გზას ვეღარ პოულობდა და ახლა გამანადგურებელი იარაღის გამოყენება უნდა?***

– თუ ეს შეტევა კრემლის მოწყობილი არ არის, რუსეთისთვის რეპუტაციული ზიანი არის. თუ კრემლის მოწყობილია, მათ რეპუტაციული ზიანი გათვალისწინებული ექნებათ იმ გათვლით, რომ საპასუხო ქმედებების შემდეგ რეპუტაციულ ზიანს მიღწეული შედეგებით გადალახავენ.

***– რა პასუხი იქნება?***

– ამას რამდენიმე დღეში დავინახავთ. თუ ეს კრემლის მოწყობილია, მაშინ მათ პასუხი წინასწარ მომზადებული უნდა ჰქონდეთ. თუ კრემლის მოწყობილი არ არის, მაშინ პასუხისთვის საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებათ. თუნდაც, მაგალითად, სარაკეტო იერიშის განხორციელებას სერიოზული მზადება სჭირდება, როგორც საზღვაო ობიექტებიდან, ანუ მცურავი საშუალებებიდან გაშვება იქნება, ჰაერიდან თუ ხმელეთი-ხმელეთი რაკეტებით, სერიოზული მზადება სჭირდება.

ჯერ ერთი, ამ სისტემებს უნდა მომზადება, რაკეტებით აღჭურვა, შემდეგ ამას სჭირდება დაგეგმვა და კოორდინაცია დროსა და სივრცეში. სამიზნეების შერჩევა, რასაც წინ უძღვის სერიოზული სადაზვერვო საქმიანობა, შემდეგ ამ მონაცემების დამუშავება დაგეგმვა სჭირდება.

თუმცა, არ არის გამორიცხული, მალევე განახორციელონ საპასუხო დარტყმა, ოღონდ ისეთი ეფექტური არ იყოს, როგორც სხვა დროს, მრავალჯერ განუხორციელებია სარაკეტო დარტყმები, მაგრამ ამას არ ჩამოუშლია უკრაინის ხელისუფლება და ბრძოლისუნარიანობა.

***– რა გამანადგურებელი იარაღი შეიძლება გამოიყენოს რუსეთმა?***

– რუსეთს რა იარაღიც აქვს, ფაქტობრივად, ყველაფერს იყენებს. არის რაღაც სისტემები, რომელიც, დავუშვათ, საომარ მოქმედებებში არ ჩაურთავს. მაგალითად, ახალი ტანკები „არმადა“. შეიძლება, რუსეთს რაღაც სისტემები „არმადას“ მსგავსად არ გამოუყენებია, მაგრამ ყველა თანამედროვე იარაღს – ბომბები, რაკეტები – იყენებდა. ლაზერულ იარაღზე საუბრობდნენ, მაგრამ არ ვიცი, რა განსაკუთრებული ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს. ამ იარაღის გამოყენებასაც თავისი სირთულეები აქვს.

ამ დრონის გამო, ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას არ მოველი. მასირებული სარაკეტო იერიშების განხორციელებას, ზელენსკისა და უკრაინის მაღალჩინოსნებზე ნადირობის გამოცხადებას ველოდები. შეიძლება აფეთქებები განახორციელონ, თუ სპეცსამსახურებს ამ დონის შეღწევადობა აქვთ.

# „ვინმე დათო ფიროშვილი რადიოს თანამშრომლებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრება“




„რადიო თბილისი“ საგანგებო განცხადებას ავრცელებს:

– BREAKI#G! რადიო თბილისის საგანგებო განცხადება

„რადიო თბილისმა“ საქართველოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა, რადიოს ფეისბუქ გვერდზე სიცოცხლისთვის საშიში მუქარის შემცველი კომენტარების გამო.

ვინმე დათო ფიროშვილი, რომელიც ჩვენი ინფორმაციით წარმოშობით გურჯაანიდანაა, რადიოს თანამშრომლებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრება.

საგამოძიებო დეპარტამენტმა საქმე წარმოებაში უკვე მიიღო.

რადიო თბილისის გვერდზე რადიკალი პრორუსული ჯგუფების და „რეპერ“ „მასტერის“ მხარდამჭერთა მასირებული შეტევა მას შემდეგ განხორციელდა, რაც რადიოსადგურმა აღნიშნული შემსრულებლის სიმღერები სამაუწყებლო ეთერიდან ჩახსნა.

შეურაცხმყოფელ კომენტარებზე დღესვე არაერთი რეაგირება გაეგზავნა სოციალურ ქსელ ფეისბუქსაც, – წერია გავრცელებულ განცხადებაში.

# მანანა არჩვაძისათვის დედობის უფლების ჩამორთმევის სასამართლო პროცესი დაიწყო



მანანა არჩვაძისათვის დედობის უფლების ჩამორთმევის სასამართლო პროცესი დაიწყო.

სასამართლოში მტკიცებულების მთელი დასტა იქნება წარმოდგენილი, მათ შორის, პირველი პრეზიდენტის პირველი ვაჟის წიგნში მოყვანილი ფაქტები, სადაც კონსტანტინე გამსახურდია აღწერს, როგორ ძალადობდა შვილებზე პირველი ლედი.

მანანა არჩვაძის ინტერესებს სასამართლო პროცესზე ადვოკატი გიორგი ლილუაშვილი დაიცავს. მან უნდა დაუმტკიცოს მოსამართლეს, რომ დედა დედაა და შვილს მასზე უარის თქმა არ შეუძლია. მისი თქმით, ყოფილი პირველი ლედი შეთქმულების მსხვერპლია. კონკრეტული პირები კი მისი რეპუტაციის შელახვას ცდილობენ.

შვილების სარჩელს მანანა არჩვაძე პროკურატურაში საჩივრით შეეგება. პრეზიდენტის ქვრივი, უფროს ვაჟს, ცოტნეს მისი კუთვნილი ქონების თაღლითური გზით დაუფლებაში ადანაშაულებს. დავის მიზეზი კოლხური კოშკის წინ მდებარე მიწის ნაკვეთია.

2013 წლიდან ეს ადგილი ცოტნე გამსახურდიას საკუთრება იყო, თუმცა ამ სახელოსნოს ადგილზე მალე მრავალსართულიანი კორპუსი აშენდება, რადგან ტერიტორია უკვე გაყიდულია.

ახალი მესაკუთრე ლევან მგალობლიშვილია. „ქართული ოცნების“ დეპუტატს მიწის ნაკვეთი ცოტნე გამსახურდიას მეურვემ მიყიდა, რადგან პაციენტს მკურნალობა საზღვარგარეთ სჭირდება. მანანა არჩვაძე ახლა ამ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვს.

# ომბუდსმენი არასრულწლოვანის მიმართ სავარაუდო სექსუალური ხასიათის ქმედებაზე დროულ რეაგირებას ითხოვს




ომბუდსმენი არასრულწლოვანის მიმართ სავარაუდო სექსუალური ხასიათის ქმედების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელების თაობაზე განცხადებას ავრცელებს და საგამოძიებო ორგანოებს დროული და ეფექტიანი რეაგირებისკენ მოუწოდებს

სახალხო დამცველი არასრულწლოვანის მიმართ სავარაუდო სექსუალური ხასიათის ქმედების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც ომბუდსმენის განცხადებაშია აღნიშნული, სახალხო დამცველი, მანდატის ფარგლებში, აღნიშნულ საქმეს შეისწავლის.

გარდა ამისა, ლევან იოსელიანი საგამოძიებო ორგანოებს დროული და ეფექტიანი რეაგირებისკენ მოუწოდებს.

– 6 მაისს სოციალურ მედიაში გავრცელდა არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული, სავარაუდო სექსუალური ხასიათის ქმედების ამსახველი ვიდეოკადრები.

ამ დროისათვის, სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

სახალხო დამცველი მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს დროული და ეფექტიანი რეაგირებისკენ. ამავდროულად, აუცილებელია, ყველა იმ პირის იდენტიფიცირება, ვისი მხრიდანაც განხორციელდა არასრულწლოვნის სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტები. აღნიშნულის პარალელურად, მნიშვნელოვანია, იმ ბავშვის საჭიროებების შეფასება და შესაბამისი ფსიქო-სოციალური სერვისების მიწოდება, ვის მიმართაც, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ქმედებებს.

– ამასთან, მოვუწოდებთ ყველა მედიასაშუალებას, მიუხედავად მაღალი საჯარო ინტერესისა, მაქსიმალურად უზრუნველყონ ბავშვების კონფიდენციალურობის დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, რათა, მათ შორის არ მოხდეს არასრულწლოვანთა რეტრავმატიზაცია. სახალხო დამცველი, მანდატის ფარგლებში, აღნიშნულ საქმეს შეისწავლის, – აღნიშნულია განცხადებაში.

# გოგებაშვილის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ დაცვის პოლიციის თანამშრომელს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა



გოგებაშვილის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ კახაბერ კამლაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გადაწყვეტილება მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა მიიღო.

პროცესზე დაცვის მხარე კახა კამლაძისთვის 10 000-ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა, რასაც ბრალდების მხარე არ დაეთანხმა.

ცნობისთვის, 4 აპრილს, თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე რესტორან LA VERA-სთან სროლის დროს ერთი ადამიანი მოკლეს და ორი პირი დაჭრეს. ფაქტზე დაკავებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პირადი დაცვის სამმართველოს უფროს ინსპექტორ კახაბერ კამლაძეს თავდაპირველად განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ ტარების მუხლებით ედავებოდნენ, თუმცა მოგვიანებით ბრალი გადაკვალიფიცირდა – დღეს მას პროკურატურამ ბრალდება დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომის გადაცილებით მკვლელობის ფაქტზე წარუდგინა.

# რა კავშირი აქვს „კალატოზას“ ახალგაზრდა კაცის ჩაცხრილვასთან



15 წლის წინ, ქვეყნიდან გაქცეული ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, „კალატოზა“ თბილისში დაბრუნდა – ფაქტს „შაბათის ეთერთან“ დავით ქარსელაძის ძმა ადასტურებს.

„შაბათის ეთერისთვის“ ცნობილი ხდება, რომ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, რომლის სახელსაც, მიკროავტობუსების მძღოლების რეკეტი და ჯიბის ქურდების მფარველობა უკავშირდებოდა, ოთხშაბათს თბილისში, ფიროსმანის ქუჩაზე ახალგაზრდა კაცის ჩაცხრილვის საქმეში ფიგურირებს. საუბარია დამირ კირცხალიაზე, რომელსაც სახლის წინ, შავი ჯიპიდან ესროლეს. ერთ-ერთი ვერსით, შეიარაღებული თავდასხმის უკან „კალატოზა“ დგას, რომელსაც დამირ კირცხალიასთან დაპირისპირება თვეებია, ფულის გამო აქვს.

უფრო კონკრეტულად, 2000-იანების დასაწყისში საქართველოდან გაქცეული „კალატოზა“ „შაბათის ეთერის“ ინფორმაციით, დაბრუნების შემდეგ გარდაბანში დიდი ბიზნესების მფლობელი, გავლენიან ქართველ ქურდთან, აკაკი ტულუშთან „ენცო ბათუმსკისთან“ ერთად გახდა, თუმცა ამ ბიზნესიდან მიღებული ფული, ერთ-ერთი ვერსიით, ორ ქართველ „კრიმინალურ ავტორიტეტს“ შორის განხეთქილების მოტივი ცოტა ხნის წინ გახდა.

„შაბათის ეთერისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „კალატოზას“ ეჭვი ჰქონდა, რომ „ენცო“-ს დაჯგუფება ფულს ჰპარავდა. ამ ჯგუფში შედიოდა კრიმინალურ სამყაროსთან დაახლოებული ორი მაკონტროლებელი – დამირ კირცხალია და გიორგი მარსაგიშვილი – იგივე „ტარაკანა“.

როგორც „ტვ პირველს“ უყვებიან, „კალატოზამ“ ფულის ამბის გარჩევა ქურდულ შეკრებაზე გადაწყვიტა და თურქეთში გავლენიან „კანონიერ ქურდს“, რამაზ ჯინჭარაძეს მიმართა. „შაბათის ეთერს“ წყარო უყვება, რომ ე.წ. ქურდული გარჩევის დროს „კალატოზამ“ საკუთარი სიტყვები ვერ დაამტკიცა, ამიტომ ჯინჭარაძემ მას სავაჭრო ობიექტიდან ჩამოშორების ვერდიქტი გამოუტანა.

ერთ-ერთი ვერსიით, ფიროსმანის ქუჩაზე სისხლიანი გარჩევის ორი სერიაც სწორედ ე.წ. ქურდული ვერდიქტის გამო მოხდა. „ენცოს“ დაჯგუფებამ, რომელიც გაამართლეს, „კალატოზას“ ქმედება „არაქურდულად“ მიიჩნია და მასზე შურისძიება გადაწყვიტა.

პირველი გარჩევა საბჭოს მოედანზე მოხდა, სადაც დემირ კირცხალიამ და კრიმინალურმა ავტორიტეტმა „ტარაკანამ“ „კალატოზას“ გარემოცვას სასტიკად სცემა. ამ დაპირისპირებისთვის კი ორ დღეში სამაგიერო გადაუხადეს და დემირ კირცხალიას შვილს სცემეს. კუკური კირცხალიას თავს „კალატოზას“ დაჯგუფება დაესხა. მას დაზიანებები საბჭოს მოედანზე, მამის დაჭრამდე 3 დღით ადრე მიაყენეს.

ახლა „შავ სამყაროში“ დიდი განხეთქილებაა – „ქურდული სამყარო“ „ენცო ბათუმსკის“ ე.წ. აბაროტის მოლოდინშია. თავად „კალატოზა“ კი გაუჩინარებულია, ის სოფელ გამარჯვებაში, სადაც ლორების ფერმას ფლობს, დემირ კირცხელიას დაჭრის შემდეგ აღარ უნახავთ!

# „გამოვლენილია „ისლამური სახელმწიფოს“ აქტივობები... დაკავებულია უცხო ქვეყნის ერთი მოქალაქე“



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ბრიფინგი გაიმართა, რომელზეც ცნობილი გახდა, რომ გამოვლენილია „ისლამური სახელმწიფოს“ აქტივობები სხვადასხვა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. უწყების ცნობით, ფაქტზე დაკავებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე.

– სუს-ისა და ეროვნულ კონტრტერორისტულ სისტემაში ჩართული უწყებების მონაწილეობით, წარმოებული ოპერაციის შედეგად, გამოვლენილია ტერორისტული ორგანიზაციის „ისლამური სახელმწიფოს“ აქტივობები სხვადასხვა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, დაკავებულია უცხო ქვეყნის ერთი მოქალაქე. მოპოვებულია მასალები და მტკიცებულებები, რითაც იკვეთება უცხო ქვეყნებში მიმდინარე ტერორისტული აქტივობები.

– ჩვენ მიერ მოპოვებულია ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობა, საიდანაც ამოღებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის დედაქალაქების სტრატეგიული ობიექტების სატელიტური ფოტოები. მასშტაბური კონტრტერორისტული ღონისძიებების ფარგლებში, იდენტიფიცირებულია ტერორისტულ ორგანიზაციასთან შემხებლობაში მყოფი პირები, კომუნიკაციის ფორმები, მეთოდები, დაინტერესების სფეროები და შესაძლო თავდასხმის ობიექტები საქართველოს ფარგლებს გარეთ. საერთაშორისო ტერორისტული რისკებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციები ოპერატიულად იქნა გაზიარებული საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებთან და მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის თურქეთთან. ამასთან, სამსახურში ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო და ფარული საგამოძიებო მოქმედებები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებს უკომპრომისო ბრძოლას საერთაშორისო ტერორიზმთან. საქართველო რჩება საერთაშორისო კონტრტერორისტული სისტემის ერთ-ერთ საიმედო პარტნიორად. ამასთან, ცალსახად გამოვრიცხავთ უცხოურ მედია საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას, საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული მიზნებით სამხედრო მომზადებისა და საწვრთნელი ბაზების არსებობის თაობაზე, – განაცხადა სუს-ში გამართულ ბრიფინგზე კონტრტერორისტული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბაჩა მგელაძემ.

# ბათუმში ავარიას 60 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა

ბათუმში, აეროპორტის გზაზე, ავტომობილი ქვეითს დაეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 60 წლამდე კაცი დაიღუპა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში „მთავარი არხის“ ვებგვერდს განუცხადეს, შემთხვევა გუშინ საღამოს მოხდა. ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი იყო მობილიზებული.

# „სკოლის სამარშრუტო ტაქსის მძღოლი მოსწავლეებს სიტყვიერად და ფიზიკურად ავიწროებდა“



არასრულწლოვნებზე განხორციელებული სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტი ვანის მუნიციპალიტეტში. გავრცელებული ინფორმაციით, სკოლის სამარშრუტო ტაქსის მძღოლი მოსწავლეებს სიტყვიერად და ფიზიკურად ავიწროებდა.

ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა მოზარდებმა სოციალურ ქსელში გაავრცელეს. მომხდარის შესახებ არასრულწლოვნებმა მშობლებს უამბეს, რის შემდეგაც საქმეში პოლიცია ჩაერთო. მომხდარის გამო თანამდებობა დატოვა სკოლის დირექტორმა.

შსს-მ გამოძიება დაიწყო სსკ-ის 141-ე მუხლით, რაც გარყვნილ ქმედებას გულისხმობს, თუმცა კაცი ამ დრომდე არ დაუკავებიათ.

2023, 8 მაისი, №88

# ვაგნერელთა რუსული ბანდები ბახმუტს ტოვებენ?!




ბახმუტისათვის ბრძოლები გრძელდება. ქალაქის დამცველებმა რამდენიმე ლოკალური მასშტაბის კონტრშეტევა განახორციელეს და შედეგად რიგი ქუჩებიდან ოკუპანტებს უკან დაახევინეს. უკვე ცხადია, რომ პრიგოჟინის პირობა ბახმუტს 9 მაისისათვის ავიღებთო, არ შესრულდება. დიქტატორმა პუტინმა ბახმუტისაკენ მედესანტეთა ახალი ძალები გადაისროლა. კერძო სამხედრო ფირმა „ვაგნერთან" ერთად მათ ბახმუტზე შეტევები განაახლეს. ამან რუსებს ვერაფერი მისცა. პირიქით, მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდა.

– ამა წლის თებერვლიდან დღემდე უკრაინაში 30.000 ვაგნერელი დაიღუპა, – იტყობინება აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ამ ფონზე „ვაგნერის" შეფმა პრიგოჟინმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მან განაცხადა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო „ვაგნერს" სპეციალურად არ აწვდის იარაღს.

– ფირმა „ვაგნერის" ბოევიკები გაცილებით უკეთ არიან მომზადებულნი, ვიდრე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჯარისკაცები. ეს ფაქტი ბევრს დისკომფორტს უქმნის! რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ იარაღს აღარ მოგვცემს, – ამტკიცებს პრიგოჟინი.

ვაგნერელთა თავკაცმა აღნიშნა, რომ შოიგუს მოქმედების შედეგად „ვაგნერს" შეექმნა იარაღისა და ტყვიაწამლის დეფიციტი. უკრაინელებმა ამით ისარგებლეს. მათ რამდენიმე წარმატებული კონტრშეტევა განახორციელეს და ბახმუტის რამდენიმე კვარტალი დაიბრუნეს. პრიგოჟინის აზრით, უდავოა ისიც, რომ უკრაინელთა კონტრშეტევები გაძლიერდება. ამისი ნათელი დადასტურებაა ის, რომ ბახმუტს უკრაინული ტანკები უახლოვდებიან.

– ასეთ სიტუაციაში იარაღს არ გვაძლევენ! ვაგნერის მეომრებიც ფაქტიურად სასიკვდილოდ არიან განწირულნი! ჩვენც იძულებულნი ვართ, ბახმუტი დავტოვოთ! – თქვა პრიგოჟინმა

ვაგნერელთა თავკაცის აზრით, მისი ბოევიკები ბახმუტს 9 მაისის შემდეგ დატოვებენ. ამ სიტყვებმა მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია. პრიგოჟინს თავად პუტინის სპეც სამსახურის უფროსმა პესკოვმა უპასუხა:

გაცილებით თავშეკავებულია უკრაინის სამხედრო დაზვერვის რეაქცია. მისმა წარმომადგენელმა ჩერნიაკმა განაცხადა, რომ შესაძლოა პრიგოჟინს ბახმუტის დატოვება მართლაც სურდეს, მაგრამ ამას ვერ გაბედავს.

უკრაინელი მზვერავის აზრით, პრიგოჟინი განაწყენებულია. ის თვლის, რომ სამხედროებმა „ვაგნერის" ბანდიტები გვერდზე გაწიეს. პრიგოჟინსაც სურს პუტინის ყურადღება მიიპყროს. ამან განაპირობა „ვაგნერის" თავკაცის განცხადება. სინამდვილეში ვაგნერი ბახმუტს არ დატოვებს. მეტიც: ქალაქზე შეტევები გაძლიერდება.

# ზახარ პრილეპინს თავს დაესხნენ



ნიჟნი ნოვგოროდში განხორციელდა თავდასხმა რუს პროპაგანდისტ ზახარ პრილეპინზე. ის თავს უწოდებდა მწერალს, აქვეყნებდა ულტრაშოვინისტური ხასიათის რომანებსა და მოთხრობებს. მათში პრილეპინი როგორც უკრაინელების, ისე ქართველების გაჟლეტისაკენ მოუწოდებდა. როცა ვაიმწერალი დროებით ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიიდან მოსკოვში ბრუნდებოდა, მას გაუსწორდნენ. ეს ნიჟნი ნოვგოროდში მოხდა. პრილეპინი მცირე ხნით შეჩერდა, რათა კაფეში წაეხემსა. ეს საუზმე მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. როგორც კი ვაიმწერალი კაფედან გამოვიდა და მანქანაში ჩაჯდა, მისი მანქანა ააფეთქეს.

„რია ნოვოსტის" ცნობით, პრილეპინის მძღოლი დაიღუპა. თავად პრილეპინი კი მძიმე მდგომარეობაშია. მას დაზიანებული აქვს ფილტვები, ფეხები და ა.შ.

# გენერალი ზალუჟნი აშშ-ის გაერთიანებული შტაბების უფროსს დაუკავშირდა

უკრაინული არმიის სარდალი, გენერალი ზალუჟნი აშშ-ის გაერთიანებული შტაბების უფროსს, გენერალ მილის დაუკავშირდა. საუბარი რუსეთ-უკრაინის ფრონტზე შექმნილ ვითარებას და უკრაინელთა მოსალოდნელ კონტრშეტევას შეეხო.

# აფეთქებები ყირიმში

დროებით ოკუპირებულ ყირიმის ტერიტორიაზე აფეთქებები გრძელდება. აფეთქებათა მთელი სერია განხორციელდა სევასტოპოლში, სიმფეროპოლში, ქერჩში, ფეოდოსიაში და ა.შ.

ფსბ-მ დააკავა ტერორისტები, რომლებსაც ყირიმის მარიონეტული მთავრობის მეთაურის აქსიონოვის ლიკვიაცია სურდათ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ბრძოლები უკრაინაში

უკრაინის ტერიტორიაზე 30 ავიაციური და 6 სარაკეტო დარტყმა განახორციელეს. ყველაზე გააფთრებული ბრძოლები კვლავ ბახმუტთან, ავდეევკასა და მარინკასთანაა.

რუსმა ოკუპანტებმა ვერაფრით ვერ აიღეს ბახმუტი. რაც შეეხება ავდეევკას, აქ ვითარება უცვლელია. მარცხით დამთავრდა რუსი ოკუპანტების მცდელობა, მოექციათ ავდეევკა ალყაში. რაც შეეხება მარინკას, აქ ბრძოლები გრძელდება. მარცხით დამთავრდა რუსი ოკუპანტების ყველა მცდელობა, წინ წაწეულიყვნენ. რაც შეეხება დონბასის სხვა ქალაქებს, იქ აქტიური საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა.

უკრაინის სამხრეთში ვითარება უცვლელია. რუსები ამაგრებენ ზაპოროჟიესაკენ მიმავალ გზებს, რათა უკრაინელთა მოსალოდნელი შეტევები მოიგერიონ. რაც შეეხება ხერსონის ოლქის ოკუპირებულ ნაწილს, იქ სიტუაცია რამდენადმე განსხვავებულია. რუსმა ოკუპანტებმა განახორციელეს რამდენიმე ავიადარტყმა ხერსონზე. მიუხედავად ამისა, უკრაინელებმა ხერსონის ოლქში დნეპრის მარცხენა ნაპირზე რამდენიმე კუნძული დაიკავეს.

## სპორტი

# შედეგები

### 6 მაისი
### ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბორნმუთი-ჩელსი ........ 1:3
ვულვზი-ასტონ ვილა ........ 1:0
სიტი-ლიდსი ........ 2:1
ტოტენჰემი-კრ.პალასი ........ 1:0
ლივერპული-ბრენტფორდი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 34 | 26 | 4 | 4 | 89-31 | 82 |
| 2.არსენალი | 34 | 24 | 6 | 4 | 81-39 | 78 |
| 3.ნიუკასლი | 33 | 18 | 11 | 4 | 61-27 | 65 |
| 4.მანჩესტერი | 33 | 19 | 6 | 8 | 49-40 | 63 |
| 5.ლივერპული | 35 | 18 | 8 | 9 | 67-42 | 62 |
| 6.ტოტენჰემი | 35 | 17 | 6 | 12 | 64-57 | 57 |
| 7.ბრაიტონი | 32 | 16 | 7 | 9 | 62-40 | 55 |
| 8.ასტონ ვილა | 35 | 16 | 6 | 13 | 46-43 | 54 |
| 9.ბრენტფორდი | 35 | 12 | 14 | 9 | 52-45 | 50 |
| 10.ფულემი | 34 | 13 | 6 | 15 | 45-46 | 45 |
| 11.ჩელსი | 34 | 11 | 9 | 14 | 34-39 | 42 |
| 12.კრ.პალასი | 35 | 10 | 10 | 15 | 35-46 | 40 |
| 13.ვულვზი | 35 | 11 | 7 | 17 | 30-50 | 40 |
| 14.ბორნმუთი | 35 | 11 | 6 | 18 | 37-67 | 39 |
| 15.ვესტ ჰემი | 34 | 9 | 7 | 18 | 37-50 | 34 |
| 16.ლესტერი | 34 | 8 | 6 | 20 | 46-59 | 30 |
| 17.ლიდსი | 35 | 7 | 9 | 19 | 44-69 | 30 |
| 18.ნოტინგემი | 34 | 7 | 9 | 18 | 30-62 | 30 |
| 19.ევერტონი | 34 | 6 | 11 | 17 | 27-52 | 29 |
| 20.საუთჰემპტონი | 34 | 6 | 6 | 22 | 28-60 | 24 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-უნიონი ........ 1:0
გლადბახი-ბოხუმი ........ 2:0
ჰერტა-შტუტგარტი ........ 2:1
ფრაიბურგი-ლაიფციგი ........ 0:1
ჰოფენჰაიმი-აინტრახტი ........ 3:1
ვერდერი-ბაიერნი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 19 | 8 | 4 | 83-34 | 65 |
| 2.დორტმუნდი | 30 | 19 | 4 | 7 | 67-40 | 61 |
| 3.ლაიფციგი | 31 | 17 | 6 | 8 | 55-37 | 57 |
| 4.უნიონი | 31 | 16 | 8 | 7 | 44-32 | 56 |
| 5.ფრაიბურგი | 31 | 16 | 8 | 7 | 46-38 | 56 |
| 6.ლევერკუზენი | 31 | 14 | 6 | 11 | 54-43 | 48 |
| 7.ვოლფსბურგი | 30 | 12 | 10 | 8 | 54-37 | 46 |
| 8.მაინცი | 31 | 12 | 9 | 10 | 51-46 | 45 |
| 9.აინტრახტი | 31 | 11 | 10 | 10 | 51-49 | 43 |
| 10.გლადბახი | 31 | 10 | 9 | 12 | 46-48 | 39 |
| 11.კიოლნი | 31 | 9 | 11 | 11 | 42-49 | 38 |
| 12.ვერდერი | 31 | 10 | 5 | 16 | 49-60 | 35 |
| 13.აუგსბურგი | 31 | 9 | 7 | 15 | 40-55 | 34 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 31 | 9 | 5 | 17 | 42-52 | 32 |
| 15.შალკე | 31 | 7 | 9 | 15 | 31-59 | 30 |
| 16.შტუტგარტი | 31 | 6 | 10 | 15 | 39-54 | 28 |
| 17.ბოხუმი | 31 | 8 | 4 | 19 | 33-69 | 28 |
| 18.ჰერტა | 31 | 6 | 7 | 18 | 37-62 | 25 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანზა-რეგენსბურგი ........ 2:0
კარლსრუე-ჰანოვერი ........ 2:1
ფორტუნა-კილი ........ 3:0
დარმშტადი-ზ.პაული ........ 0:3

### ესპანეთი. სამეფო თასი
### ფინალი

რეალი-ოსასუნა ........ 2:1

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მირანდესი-რასინგი ........ 1:1
ლეგანესი-უესკა ........ 2:1
ტენერიფე-ლევანტე ........ 1:0

### იტალია. სერია ა

მილანი-ლაციო ........ 2:0
რომა-ინტერი ........ 0:2
კრემონეზე-სპეცია ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 33 | 25 | 5 | 3 | 69-23 | 80 |
| 2.ლაციო | 34 | 19 | 7 | 8 | 52-26 | 64 |
| 3.ინტერი | 34 | 20 | 3 | 11 | 62-35 | 63 |
| 4.იუვენტუსი | 33 | 19 | 6 | 8 | 50-28 | 63 |
| 5.მილანი | 34 | 17 | 10 | 7 | 55-39 | 61 |
| 6.ატალანტა | 33 | 17 | 7 | 9 | 56-39 | 58 |
| 7.რომა | 34 | 17 | 7 | 10 | 45-33 | 58 |
| 8.ფიორენტინა | 33 | 12 | 10 | 11 | 45-39 | 46 |
| 9.ტორინო | 33 | 12 | 9 | 12 | 35-38 | 45 |
| 10.ბოლონია | 33 | 12 | 9 | 12 | 42-43 | 45 |
| 11.მონცა | 33 | 12 | 9 | 12 | 41-44 | 45 |
| 12.უდინეზე | 33 | 10 | 13 | 10 | 43-41 | 43 |
| 13.სასუოლო | 33 | 12 | 7 | 14 | 40-49 | 43 |
| 14.სალერნიტანა | 33 | 7 | 14 | 12 | 41-54 | 35 |
| 15.ემპოლი | 33 | 8 | 11 | 14 | 29-43 | 35 |
| 16.ლეჩე | 33 | 7 | 10 | 16 | 28-40 | 31 |
| 17.სპეცია | 34 | 5 | 12 | 17 | 28-56 | 27 |
| 18.ვერონა | 33 | 6 | 9 | 18 | 27-51 | 27 |
| 19.კრემონეზე | 34 | 4 | 12 | 18 | 31-59 | 24 |
| 20.სამპდორია | 33 | 3 | 8 | 22 | 20-59 | 17 |

### იტალია. სერია ბ

ჯენოა-ასკოლი ........ 2:1
კოზენცა-ვენეცია ........ 1:1
მოდენა-ბარი ........ 1:1
პიზა-ფროზინონე ........ 1:3
რეჯინა-კომო ........ 2:1
ტერნანა-ზიუდტიროლი ........ 0:1
ჩიტადელა-ბენევენტო ........ 3:1
პალერმო-სპალი ........ 2:1

### საფრანგეთი. ლიგა 1

ნიცა-რენი ........ 2:1
რეიმსი-ლილი ........ 1:0
ლანსი-მარსელი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 33 | 24 | 3 | 6 | 76-34 | 75 |
| 2.ლანსი | 34 | 21 | 9 | 4 | 57-26 | 71 |
| 3.მარსელი | 34 | 21 | 7 | 6 | 62-34 | 70 |
| 4.მონაკო | 33 | 18 | 7 | 8 | 66-50 | 61 |
| 5.ლილი | 34 | 17 | 8 | 9 | 60-41 | 59 |
| 6.რენი | 34 | 17 | 5 | 12 | 56-38 | 56 |
| 7.ლიონი | 33 | 15 | 8 | 10 | 52-37 | 53 |
| 8.ნიცა | 34 | 13 | 12 | 9 | 42-32 | 51 |
| 9.რეიმსი | 34 | 12 | 14 | 8 | 41-35 | 50 |
| 10.კლერმონი | 33 | 14 | 7 | 12 | 36-43 | 49 |
| 11.ლორიანი | 33 | 13 | 9 | 11 | 46-45 | 48 |
| 12.მონპელიე | 33 | 13 | 4 | 16 | 52-52 | 43 |
| 13.ტულუზა | 33 | 12 | 5 | 16 | 48-55 | 41 |
| 14.ბრესტი | 33 | 8 | 11 | 14 | 37-48 | 35 |
| 15.ოსერი | 33 | 8 | 9 | 16 | 31-55 | 33 |
| 16.სტრასბური | 33 | 7 | 11 | 15 | 44-55 | 32 |
| 17.ნანტი | 33 | 6 | 14 | 13 | 35-48 | 32 |
| 18.ტრუა | 33 | 4 | 10 | 19 | 41-70 | 22 |
| 19.აიაჩო | 33 | 6 | 4 | 23 | 22-61 | 22 |
| 20.ანჟე | 33 | 3 | 5 | 25 | 27-72 | 14 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

ბორდო-კაენი ........ 1:0
ბორდოს გოლი ზურიკო დავითაშვილმა გაიტანა
ამიენი-სოშო ........ 1:0
ანსი-დიჟონი ........ 1:1
ლავალი-ბასტია ........ 2:1
ნიმი-ვალანსიენი ........ 3:3

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## საზოგადოება

# პრინცი ჩარლზი ოფიციალურად გახდა ბრიტანეთის მეფე



პრინცი ჩარლზი ბრიტანეთის მეფე ოფიციალურად გახდა. ამის თაობაზე იუწყება რადიო „თავისუფლება".

ჩარლზის მეფედ კურთხევის ცერემონია ვესტმინსტერის სააბატოში გაიმართა. მას უცხოელი სტუმრებიც დაესწრნენ. აქ იყვნენ სახელმწიფოთა მეთაურები.

# მასტერი: „ჩემი სიმღერების დაბლოკვას ავიტან"




მას შემდეგ, რაც რეპერმა გიორგი პავლიაშვილმა, იგივე მასტერმა ლევან ბერძენიშვილს სიმღერა მიუძღვნა, მისი თქმით, ხელოვანის სიმღერების დაბლოკვა დაიწყო.

რადიო თბილისის მედიამენეჯერმა რამაზ სამხარაძემ ინტერნეტში განაცხადა, რომ მათი რადიოს ეთერში მასტერის სიმღერები აღარ გავა:

– მოვისმინე მასტერის სიმღერა. დღეიდან რადიო თბილისის ეფემ 93.5-ის ეთერში აღნიშნული „რეპერის" არც ერთი სიმღერა აღარ გავა. ყველა მომღერალი, ვინც „პოლიტიკურ" სიმღერებს მღერის და მხარს უჭერს შავ-ბნელ ძალებს, დიდი ხანია ჩახსნილია ეთერიდან, ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, „უცნობი". ჩემი უდიდესი პატივისცემა ლევან ბერძენიშვილს და ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქეს. მე, როგორც მედიამენეჯერი, ვწუხვარ, რომ მსგავსი გადაწყვეტილების მიღება მიწევს... თუმცა, მეგობრებო, არა სიბნელეს! არა უმეცრებას! არა ასეთ მომღერლებს და მუსიკას.

**მასტერი:**

– დაიწყო ჩემი „დაქენსელების" პოლიტიკა. რადიო თბილისმა ეფემ 93.5 „რეპერ მასტერის" ყველა სიმღერა სამაუწყებლო ეთერიდან ჩახსნა. რადიოსადგურის დირექტორმა რამაზ სამხარაძემ განაცხადა, რომ დღეიდან აღნიშნული მომღერლის არც ერთი სიმღერა აღარ გავა მისი რადიოსადგურების ეთერში: „მოვისმინე „მასტერის" სიმღერა, დღეიდან რადიო თბილისის ეფემ 93.5-ის ეთერში აღნიშნული „რეპერის" არც ერთი სიმღერა აღარ გავა. ჩემი უდიდესი პატივისცემა ლევან ბერძენიშვილს და ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქეს" – რადიოსადგურის დირექტორი რამაზ სამხარაძე.

პ.ს. სიმღერების ამოღება და ცენზურა ერთია და ყველაზე ამაზრზენი ის არის, რომ ამ ფაქტის მერე თითქმის ყველა პოსტი ჩემზე უდევთ და დაიწყეს ჩემი ანტი-პიარი. სამწუხაროა, რომ მედიასაშუალება ასე ღიად ერთვება ჩემს „გაშავებაში". სხვას არაფერს ვიტყვი.

სამწუხაროა, მაგრამ ჩემი სიმღერების დაბლოკვას ავიტან, ზოგადად ასეთი მიდგომაა სამწუხარო. გული მწყდება, რომ ბატონ ლევანს უფლება აქვს, ღმერთი უარყოს, ერეკლეს დეგენერატი და გამყიდველი ეძახოს და მე უფლება არ მქონია, რომ კონსტრუქციულად გამეკრიტიკებინა ადამიანი. გასაგებია. ტრეკების ჩაყრა? მახსოვს დამეთანხმეთ, მე ვერ დავდებ მსგავს სქრინებს – არ ვარ მაგ კალიბრის ადამიანი. მადლობა ყველას, ვინც გულში მაინც გაივლო ჩემი მხარდაჭერა, სიმართლე გაიმარჯვებს! მადლობა დიდი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


# განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: ალმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა. ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის №154.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 599 25 44 14. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# დინამოების უხეირო თამაშით სამგურალმა ისარგებლა

ეროვნულ ლიგაში მე-12 ტური დასრულდა სატურნირო ცხრილში გვარიანი გადაადგილებებიც მოხდა.

**დინამო (ბთ)-დილა 0:2**
**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**
**0:1 სილვა (68), 0:2 კოვტალიუკი (86)**

**დინამო:** ხარატიშვილი, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი, ჩაბრაძე, მოსიაშვილი (კონატე 70), ტეიდი (ბიძინაშვილი 90), ალთუნაშვილი (ლიტვინენკო 90), ლუდუშაური, ზარია (გიორბელიძე 70), ფლამარიონი

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ძოწენიძე, ეტუ, სილვა, სანტოსი, ნ.გაგნიძე, გომისი, ჟან ვიქტორი, გეილი (გაფრინდაშვილი 88), კოვტალიუკი (მახარობლიძე 88)

**გაძევება:** ლუდუშაური (61)

მატჩის წინ დინამო ბათუმის მთავარ მწვრთნელ გია გეგუჩაძესა და თავდამსხმელ ჯოვინო ფლამარიონს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან პრიზები გადაეცათ.

გეგუჩაძეს წლევანდელი სეზონის პირველი წრის საუკეთესო მწვრთნელობისთვის;

ფლამარიონს კი – კრისტალბეთ ეროვნული ლიგის წინა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელობისთვისა და საუკეთესო ბომბარდირობისთვის, ასევე მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელობისთვის. ანუ, ბრაზილიელს ერთბაშად სამი პრიზი გადაეცა.

თუმცა, საუკეთესონი მოედანზე გორელები და მათი მწვრთნელი იყვნენ. დილამ ზედიზედ მესამედ მოიგო და თან სამივე ცხრილის ზედა ნაწილში მყოფ გუნდებთან. აი, დინამო ბათუმისთვის კი ეს პირველი წაგებაა მიმდინარე სეზონში.

საკვანძო მომენტი ალბათ 61-ე წუთზე იყო, როცა პაატა ლუდუშაური გააძევეს. ბათუმელთა გარემარბი დილას კაპიტან ნიკა გაგნიძეს ეუხეშა, რაზეც არბიტრმა გიორგი ავაზაშვილმა ჯერ ყვითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ VAR-ზე გადამოწმების შემდეგ წითლით შეცვალა.

დილამ რიცხობრივი უპირატესობა კარგად გამოიყენა: ბრაზილიელმა ვანდერსონ სილვამ საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით გაიტანა, უკრაინელმა მიკოლა კოვტალიუკმა კი, კარგი კონტრშეტევა დაასრულა – 0:2.

გორელები მეხუთე ადგილზე არიან, თუმცა ლიდერ ბათუმელებს მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩებიან.

**თელავი-სამგურალი 0:1**
**თელავი. კავკასიონი არენა**
**0:1 ჩიხრაძე (86)**

**თელავი:** თანდილაშვილი, რომი (ვიტინიო 67), გიგაშვილი, ვ.ფაცაცია, ჯიქია, ცნობილაძე, აშორტია (ო.გაგნიძე 85), ქოჩლაძე (ფირანაშვილი 33), ალფონსი, ყიფიანი, ილურიძე (მბომბო 67)

**სამგურალი:** ყალიჩავა, ა.ვერულიძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი, კალანდარიშვილი, არტური (ბაშელეიშვილი 62), ლომინაძე, ნ.ხორხელი (ბული 62), ჯეფინიო (ლ.ხორხელი 72), გომესი (ჩიხლაძე 81), ნიქაბაძე (ჩიხრაძე 72)

წყალტუბოს სამგურალმა ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო. 86-ე წუთი იყო, დემურ ჩიხლაძემ კუთხურიდან ჩააწოდა და ლადო ჩიხრაძემ თავურით გაიტანა გადამწყვეტი გოლი. არადა, მანამდე ერთი წუთით ადრე თელაველთა მეკარე ლევან თანდილაშვილმა ურთულესი ბურთი აუღო მიხეილ ბაშელეიშვილს.

საინტერესოა, ჩიხლაძეც და ჩიხრაძეც შეცვლაზე შევიდნენ. ეს ჩიხრაძის მეოთხე გოლია სეზონში.

სამგურალი უკვე მეორე ადგილზეა და ლიდერ დინამო ბათუმს მხოლოდ ბურთების შეფარდებით ჩამორჩება. თელავს რაც შეეხება, რაც ვარდან მინასიანი დაინიშნა მწვრთნელად, გუნდმა 7 მატჩი ჩაატარა, 2 ფრედ ითამაშა და დანარჩენი წააგო.

**დინამო (თბ)-გაგრა 0:0**
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**დინამო:** კუტალაძე, მალი, ნზაბა (ხვადაგიანი 65), კალანდაძე (ტაბიძე 46), ლაკვეხელიანი (კობოური 61), მოისწრაფიშვილი (სიგუა 61), ოსეი, ვაგნერი, იმრანი, კამარა, სხირტლაძე (მარუშიჩი 61)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი (ჩაგანავა 90), ლ.ნოზაძე, ჯანგიძე, ნემსაძე, ჟორდანია (კაკუბავა 80), კაკაშვილი, ლომთაძე (ბუტრიფი 67), მარკონდელე, გ.ლაცაბიძე (შონია 67), მუსელიანი (შუბითიძე 80)



დინამო თბილისს რომ მოეგო, ლიდერობას დაიბრუნებდა, მაგრამ 0:0 ითამაშა გაგრასთან და სულაც მესამე ადგილზე დაქვეითდა. გაგრა კი მეშვიდეა და ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის.

ამ გუნდების პირველი წრის დაპირისპირებაში 8 ბურთი გავიდა (დინამომ 5:3 იმარჯვა), ახლა კი უგოლო ფრე დაფიქსირდა. სეზონში პირველად მოხდა, რომ დინამომ თამაში გოლის გარეშე დაასრულა.

ისე, გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა ბოლო 5 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო.

**შუქურა-საბურთალო 2:3**
**ანგისა. ჯონი ბაკურიძე**
**0:1 სილა (23), 0:2 ტაბატაძე (58პ), 1:2 მუჯირი (69), 2:2 სარდალიშვილი (72), 2:3 სილაგაძე (85)**

**შუქურა:** კულუა, ჩაჩუა, ასათიანი (ჩაკვეტაძე 70), ლ.ქურდაძე, გაზდელიანი, დუმბია (ანდრონიკაშვილი 57), ჯანელიძე, ც.ფაცაცია (ს.გელაშვილი 60), სარდალიშვილი, მზვაკალი, აფხაზავა (მუჯირი 50)

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ი.გელაშვილი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, ქარდავა (შ.ნონიკაშვილი 83), ო.მამაგეიშვილი (გოშთელიანი 77), ლ.ნონიკაშვილი (ციცქიშვილი 77), ტაბატაძე (გ.კოხრეიძე 65), გ.მამაგეიშვილი (სილაგაძე 65), სილა

საბურთალომ კვლავ მოიგო და საინტერესოა, რომ ზედიზედ 5 მატჩია, ზუსტად 3 გოლი გააქვს თამაშში. აი, შუქურამ კი ზედიზედ მეხუთედ წააგო და ბოლო ადგილზე რჩება.

პირველ ტაიმში ერთი ბურთი გავიდა – საბურთალოს მალელმა ფორვარდმა შეიკნე სილამ ქუსლით გადაგზავნა კარში. მეორე ტაიმში იური ტაბატაძემ პენალტით ანგარიში 0:2 გახადა.

69-ე წუთზე თამაში დაიძაბა, შეცვლაზე შესულმა დავით მუჯირმა კარგად გამოიყენა მიშიკო სარდალიშვილის დაფარული პასი და სხვაობა შეამცირა; სამ წუთში კი თავად სარდალიშვილმა საჯარიმოში არეულობისას გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა.

საბოლოოდ, საბურთალომ მაინც მოიგო: ლუკა სილაგაძემ საჯარიმო დარტყმა კარგად შეასრულა და 2:3.

**ტორპედო-სამტრედია 1:0**
**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**
**1:0 ქობულაძე (70)**

**ტორპედო:** გოშაძე, გეგეჭკორი, მონტეირო, სანდოხაძე, ნადარაია (ქობულაძე 46), გიგაური, ნეტო (სამურკასოვი 46), შულაია, არაბიძე (გ.კუხიანიძე 67), შერგელაშვილი (ქიმაძე 67), კაჭარავა (თ.ახვლედიანი 78)

**სამტრედია:** ლომიძე, იოსელიანი, აბულაძე, კილასონია, ბოჭორიშვილი (უბილავა 87), ექვთიმიშვილი (ა.თევზაძე 87), ხმალაძე, ხაიბულაევი (რობაქიძე 69), პაპუნაშვილი, ნაჭყებია, ჩამბა (ინჯგია 46)

იმერული დერბი ქუთაისელებმა მოიგეს. ტორპედომ გიორგი ქობულაძის მეორე ტაიმში გატანილი გოლით აჯობა სამტრედიას. ქობულაძემ საჯარიმო დარტყმა შეასრულა კარგად – 1:0.

ტორპედოს სამი ტურის განმავლობაში არ ჰქონდა მოგებული და სერია შეწყვიტა. გუნდი მეექვსე ადგილზეა. სამტრედია კი ბოლოსწინაზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 12 | 7 | 4 | 1 | 27-15 | 25 |
| 2.სამგურალი | 12 | 8 | 1 | 3 | 19-12 | 25 |
| 3.დინამო (თბ) | 12 | 7 | 3 | 2 | 25-15 | 24 |
| 4.საბურთალო | 12 | 6 | 4 | 2 | 25-15 | 22 |
| 5.დილა | 12 | 5 | 5 | 2 | 16-9 | 20 |
| 6.ტორპედო | 12 | 5 | 4 | 3 | 11-12 | 19 |
| 7.გაგრა | 12 | 2 | 4 | 6 | 13-22 | 10 |
| 8.თელავი | 12 | 1 | 4 | 7 | 9-19 | 7 |
| 9.სამტრედია | 12 | 2 | 1 | 9 | 9-22 | 7 |
| 10.შუქურა | 12 | 2 | 0 | 10 | 12-25 | 6 |

# ხარები საქართველოს ჩემპიონია

2022-23 წლის სარაგბო სეზონის გამარჯვებული რუსთავის ხარებია. დიდი 10-ის ფინალში ქვემო ქართლელებმა ბათუმი 24:22 დაამარცხეს და 30 წლის შემდეგ ტიტული ისევ ალმართეს.

თამაში ძალიან საინტერესოდ და ინტრიგულად დაიწყო, მე-3 წუთზე ბათუმელების ხელდახელ შეტევას, სანდრო ილურიძის უხეში ბოჭვა მოყვა. ვიდეო-რეფერის გადამოწმების შემდეგ რუსთაველები მთელი მატჩის განმავლობაში კაცნაკლულნი დარჩნენ.

ამით ისარგებლა ბათუმმა და ნინიძის ჯარიმით დაწინაურდა, რასაც ნუკრი ფერსელიძის ლელო და ნინიძის მოჰყვა – 10:0 ზღვისპირელთა სასარგებლოდ.



რუსთავი გონს მოვიდა. ლევან ჭავჭავაძე ხარების მოლს კარგად გაუძღვა და ბათუმი დაალელოვა. რუსთავმა კიდევ შეუტია, მაგრამ ბურთი დაკარგა და გიორგი წიკლაურისგან საპასუხო ლელო მიიღო. ორივე შემთხვევაში გარდასახვა გაცუდდა და სხვაობა ისევ 10 ქულა დარჩა.

კაცნაკლული რუსთავი არ გატყდა, მეტიც, ძალაში ჯობდა მეტოქეს აქცენტი ასეთ თამაშზე გადაიტანა. სვანიძის გასინბინების შემდეგ მოედანზე თანაფარდობა 10 წუთით აღდგა. ეს დრო იხელთა რუსთავმა და ჭავჭავაძემ სხვაობა შეამცირა – 12:15.

რუსთავმა იგრძნო თამაში და მალევე ეფრემიძემ გუნდი პირველად დააწინაურა და ტაიმიც მოიგო – 17:15.

მეორე ტაიმში გუნდებმა თითო ლელო გაცვალეს და ანგარიში 24:22 გახდა. ბოლო 7 წუთში ბათუმი უტევდა, რუსთავი თავს იცავდა და ეს ჩინებულად მოახერხა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გურამ ქანდაურიშვილი გახდა.

# ქართული გოლები ლიგა 2-ში



საფრანგეთის ლიგა 2-ში ქართული დღე იდგა. ორმა ჩვენებურმა 3 გოლი გაიტანა.

ზურიკო დავითაშვილის გოლით ბორდომ ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ჟირონდელებმა შინ 1:0 მოუგეს კაენს.

ბორდოს მთავარმა მწვრთნელმა დავიდ გიიონმა ზურიკო ძირითად შემადგენლობაში დააყენა და არც უნანია – მე-16 წუთზე, ჯოშ მაჯას დროული პასის შემდეგ, ქართველი შემტევი მეკარესთან პირისპირ გავიდა და უნაკლოდაც დაარტყა.

ეს დავითაშვილის მეოთხე გოლი ლიგა 2-ში.

დავითაშვილის დაწყებული საქმე გიორგი მიქაუტაძემ კიდევ უფრო უკეთესად გააგრძელა. მეცის ქართველმა შემტევმა ნიორთან მატჩში დუბლი შეასრულა, ხოლო მეცმა 3:1 მოიგო.

არადა, თავიდან ნიორი დაწინაურდა. მიქაუტაძემ პირველი ტაიმის ბოლოს პენალტი შეაგდო, ხოლო 83-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მიქაუტაძეს ლიგა 2-ში 22 გოლი აქვს გატანილი, ბომბარდირთა დავაში პირველია და უახლოეს კონკურენტებს 6 გოლით უსწრებს. ჩვენებურს 7 საგოლე პასიც აქვს.

მესამე ადგილზე მყოფმა მეცმა თავი 62 ქულას მოუყარა და მეორე პოზიციაზე მყოფ ბორდოს სამი ქულით ჩამორჩება. პირველ ადგილზე კვლავ ლე მანია, რომელსაც 68 ქულა აქვს, მაგრამ თამაში რეზერვში. სავარაუდოდ, ლე მანი ერთ-ერთი იქნება, ვინც ელიტაში გადავა, მეორე საგზურისთვის კი, სწორედ ქართველების გუნდები იბრძოლებენ.

მომდევნო ტურში ბორდო რუანს ესტუმრება, ხოლო მეცი გრენობლს უმასპინძლებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ნიორი-მეცი ........ 1:3

**მეცის პირველი და მესამე გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა**

პო-კევიი ........ 3:4
სტ.ეტიენი-გენგამი ........ 3:2
პარიზი-გრენობლი ........ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სანტა კლარა-ჟილ ვისენტე ........ 3:2
ბოავიშტა-ეშტორილი ........ 1:0
ბენფიკა-ბრაგა ........ 1:0

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

სპარტა-პსვ ........ 0:1
კამბური-უტრეხტი ........ 0:3
ნაიმეგენი-ჰერენვენი ........ 2:3
აიაქსი-ალკმაარი ........ 0:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-სენ ჟილუა ........ 1:2
სტანდარდი-გენტი ........ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-ბეშიქთაში ........ 1:3
ადანა-ალანია ........ 4:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლუშტენაუ-რიდი ........ 2:2
ჰარტბერგი-ტიროლი ........ 5:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰიბერნიანი-სტ.მირენი ........ 2:1
მოზერველი-კილმანროკი ........ 2:0
როსი-ლივინგსტონი ........ 2:0
სტ.ჯონსონი-დ.იუნაიტედი ........ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ვინთენთური ........ 0:1
სტ.გალენი-იანგ ბოიზი ........ 0:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-სლოვაცკო ........ 2:2
ბანიკი-ბრნო ........ 4:0
ზლინი-იაბლონეცი ........ 1:1
ტეპლიცე-პარდუბიცე ........ 1:0

**პოლონეთი ექსტრაკლასა**

რადომიაკი-პიასტი ........ 0:1
ლეხი-კრაკოვია ........ 3:0
ლეხია-ზაგლებიე ........ 1:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

რუსენბორგი-ვალერენგა ........ 1:3

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ოპერა „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი; 3. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 4. დიდი საორკესტრო მუსიკალური ნაწარმოები; 8. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 9. ცნობილი ქართველი რაგბის მსაჯი; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 12. მომღერალთა გუნდის ძველებური სახელწოდება; 14. აეროპორტი პარიზში; 16. მომავალი სამუშაოს მოღვაწეობის გეგმა; 17, იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გვირაბი; 19. ერთ-ერთი უზენაესი ღვთაება ინდუიზმში; 21. ცალკეული სცენებისა და ნომრებისგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა.

**თარაზულად:** 5. პენიცილინის აღმომჩენი ინგლისელი მიკრობიოლოგი; 6. ხელოვნური მორწყვის ღონისძიებათა სისტემა; 7. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 10. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 13. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 15. ნაყინის დასამზადებელი აპარატი; 18. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 20. ესტონეთის დედაქალაქი; 22. ნიდერლანდური ლუდი; 23. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 24. ფრანგული საავტომობილო კომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. იმედი; 5. რადა; 6. ლოტოსი; 8. ლეკალო; 11. ენციკლიკა; 13. ვერსაჩე; 14. ფიდიასი; 15. ჰერალდი; 19. ნიკე.

**თარაზულად:** 1. ინკვიზიცია; 4. სუფრული; 7. აგუძერა; 9. დანელია; 10. ჩექმა; 12. პლანტაჟი; 16. მორიკონე; 17. იროკეზი; 18. კინგსტონი; 20. კაქტუსი; 21. ლეხი; 22. ოპონენტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ციტატა; 2. ფერმერი; 3. ხეჭეჭური; 4. იტალიანა; 8. ჩელენტანო; 9. მანომეტრი; 11. პარხალი; 12. კოლი; 14. არხი; 16. პოინტერი; 17. ნიშადური; 19. სინუსი; 21. კანტი.

**თარაზულად:** 5. კერატიტი; 6. ტრავოლტა; 7. მეტრეველი; 10. რუტერი; 13. ბენონი; 15. ქლუხორი; 18. ხორავა; 20. პანეში; 22. სინდიკატი; 23. გრინფისი; 24. უტინოურა.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

8 მაისი


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4834 |
| ევრო | — 2.7377 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.1321 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.2233 |

**ამინდის პროგნოზი 8 მაისისათვის**




## რეალმა ესპანეთის თასი მოიგო

მადრიდის რეალმა ესპანეთის თასის ფინალში ოსასუნა დაამარცხა 2:1 და ეს ტიტული პირველად მოიგო 2014 წლის შემდეგ. ფინალი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა და საუკეთესო ფეხბურთელად როდრიგო დაასახელეს, რომელმაც 2 გოლის გატანა შეძლო. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ თქვა, რომ მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა და ისინი ახლა მხოლოდ მანჩესტერ სიტიზე ფიქრობენ, რომლებთანაც რეალს უკვე სამშაბათს, მადრიდში აქვს შეხვედრა.



## გვარდიოლა: „რეალთან მატჩისთვის მზად ვართ“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მისი გუნდი რეალთან მატჩისთვის მზად არის და მათ სამეფო გუნდის არ ეშინიათ, თუმცა კარგად ესმით, თუ რა სირთულეები ელით: „რეალთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველით მას. ფეხბურთელები მზად არიან და მათ მხოლოდ გამარჯვება სურთ. მაყურებელს დაუვიწყარი სანახაობა ელის“. პირველი მატჩი 9 მაისს, მადრიდში გაიმართება.

## ტომას ტუხელი: „ბაიერნი თავის თავს ემსგავსება“

მიუნხენის ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა ვერდერის დამარცხების შემდეგ თქვა, რომ ბაიერნი თავის თავს ემსგავსება და გუნდს შეუძლია გერმანიის ჩემპიონატის მოგება. ვერდერს ბაიერნმა 2:0 მოუგო: „ვერდერთან ძალიან კარგად ვითამაშეთ და გულშემატკივარს სწორედ ასეთი ბაიერნის ხილვა სურს. მომავალი მატჩები ძალიან მნიშვნელოვანია და ისინი აუცილებლად უნდა მოვიგოთ“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## მომღერალი გიორგი ხუნაშვილი გასტროლზე კომაში ჩავარდა

გავრცელებული ინფორმაციით, ანსამბლ „ბასიანის“ სოლისტი და სამების ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრი გიორგი ხუნაშვილი კორეაში გასტროლზე ყოფნისას კომაში ჩავარდა. ინტერნეტში მისი გამოჯანმრთელებისთვის ლოცვას ითხოვენ.

– ჩვენი ანსამბლის სოლისტს და მეგობარს, გიორგი ხუნაშვილს კორეაში შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, გადავიყვანეთ კლინიკაში, გაუკეთდა აპენდექტომია. ექიმები ყველაფერს აკეთებენ მისი გამოჯანმრთელებისთვის. გთხოვთ, თავი შეიკავოთ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან, ყველა მნიშვნელოვან ამბავს მისი ჯანმრთელობის შესახებ შეგატყობინებთ. მადლობა მხარდაჭერისთვის, ყველაფერი კარგად იქნება, – ნათქვამია ანსამბლ „ბასიანის“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 8 მაისისათვის

**ვერძი** – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **მორიელი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, როგორაა ნათელა, მახსოვს, დიდი სიყვარული გქონდათ ერთმანეთთან?

– ეეჰ, დასრულდა სიყვარული.

– რა, ერთმანეთს დაშორდით?

– არა, დავქორწინდით.

●●●

მიხო ეზოში კაკლის ძირშია წამოწოლილი. ხედავს, მამალმა დედალი დაიჭირა და პეპლავს. ამ დროს მარო გამოვიდა და ქათმებს საკენკი დაუყარა. მამალმა დედალს თავი დაანება და საკენკისკენ გაქანდა.

მიხომ ზეცას ახედა და:

– ღმერთო, გევედრები, აი მაგრე ნუ მამაშივნებ!

●●●

რჩევა მამაკაცებს:

– საყვარლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მასთან შეგიძლიათ, მეუღლის ნაკლოვანებებზე ისაუბროთ. აბა, ერთი ცადეთ და მეუღლეს საყვარლის ნაკლოვანებებზე ჩამოუგდეთ სიტყვა.

## ნინო ხარატიშვილი 10.000 ევროთი დაჯილდოვდა



ქართველი მწერალი და რეჟისორი ნინო ხარატიშვილი გიზელა ელსნერის ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა.

ნიუნბერგის ლიტერატურული სახლი უკვე მეორედ გასცემს ელსნერის პრემიას 10.000 ევროს ოდენობით. წლევანდელი ჯილდოს მფლობელი 1983 წელს საქართველოში დაბადებული და ამჟამად ბერლინში მცხოვრები მწერალი, ნინო ხარატიშვილია.

– ავტორი საკუთარ შემოქმედებაში წარმატებით ახერხებს არა მარტო საქართველოს ისტორიის ევროპის ისტორიის ნაწილად წარმოჩენას, არამედ ასევე ქართული ლიტერატურისა და კულტურის ევროპული ხასიათის ჩვენებას. ესაა ცალკეული პიროვნებების ბედისწერისა და ისტორიული გარემოებების კომბინაცია, რაც უკრაინაში მიმდინარე ომისა და იქ გამოვლენილი აგრესიის ფონზე, ხარატიშვილის ტექსტებს მეტ აქტუალობას სძენს. „ამას ძნელად თუ ახერხებს სხვა რომელიმე ლიტერატურული ხმა“ – ვკითხულობთ კონკურსის ჟიურის შეფასებაში.

დაჯილდოება ნიუნბერგის ლიტერატურულ სახლში გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში ნინო ხარატიშვილმა თავისი ბოლო რომანი „უკმარი სიცოცხლეც“ წარადგინა. ღონისძიების მსვლელობისას სიტყვა ლაუდაციო გიზელა ელსნერის საზოგადოების თავმჯდომარემ, ქალბატონმა კრისტინა ქიუნცელმა წარმოთქვა.

## ელდარ შენგელაიას ფილმებს ფრანკფურტის კინომუზეუმში აჩვენებენ



ლეგენდარული რეჟისორის ელდარ შენგელაიას ფილმებს ფრანკფურტის კინომუზეუმში აჩვენებენ.

რეჟისორის ფილმების რეტროსპექტივა ელდარ შენგელაიას 90 წლის იუბილეს ეძღვნება.

ერთი თვის მანძილზე ნაჩვენები იქნება ფილმები „თეთრი ქარავანი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცისფერი მთები“, „მრავალჟამიერ“.

ღონისძიების ფარგლებში მაყურებელი ასევე იხილავს ელდარ შენგელაიას მამის, აღიარებული ქართველი რეჟისორის, ნიკოლოზ შენგელაიას ფილმს „ელისო“, რომელიც ქართული კინომემკვიდრეობის თვალსაჩინო ნამუშევარია.

## დიდუბის პანთეონის წინ, გზის საფარის გათხრისას, საფლავები აღმოჩნდა



თბილისში, წერეთლის გამზირზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის წინ, გზის საფარის გათხრისას, საფლავები აღმოჩნდა.

ინფორმაცია ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა ლევან თაქთაქიშვილმა გაავრცელა:

– არარაი არს დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს!

დიდუბის პანთეონის წინ, გზის საფარის გათხრისას, საფლავები აღმოჩნდა!

ასეც უნდა მომხდარიყო! 1938 წელს დიდუბის სასაფლაო გაუქმდა, მისი გალავანი მოანგრიეს და გალავნის პირას დაკრძალულ პირთა საფლავები სავალი გზის ქვეშ აღმოჩნდა. მათ შორის არაერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწის საფლავი იყო. ერთ-ერთი იყო პედაგოგი ეგნატე ხრამელაშვილი. დღეს ამ საფლავებში არსებული ნეშტები, შესაძლებელია, დაიკრძალოს დიდუბის პანთეონის ტერიტორიაზე ერთ საძმო საფლავში და დაეწეროს იმ საზოგადო მოღვაწეთა გვარები, რომელთა საფლავები შეეწირა 1938 წლის ვანდალიზმს. თუ ვინმეს დააინტერესებს, დაკარგული საფლავების სიას მოვუმზადებთ!

## ლევან დაბრუნდაშვილი ბოდიშის მოხდას ითხოვს



სერიალ „ტიფლისის“ რეჟისორი ლევან დაბრუნდაშვილი კომპანია „კავეა პლუსისგან“ ტყუილის გავრცელებისთვის ოფიციალური ბოდიშის მოხდას ითხოვს. ამის მიზეზი „კავეა პლუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია გახდა, რომ ახალი ქართული მისტიკური სერიალი „ორობორუსი: 1937“ „ტიფლისის“ შემქმნელების ახალი ნამუშევარია.

– 13 მაისიდან ქართული მისტიკური სერიალი „ორობორუსი: 1937“ „ტიფლისის“ შემქმნელებისგან. სერიალში მონაწილეობენ ნინო კასრაძე, პაატა ინაური, თაკი მუმლაძე, სოფო ზერაგია... – აღნიშნულია კავეა პლუსის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

**ლევან დაბრუნდაშვილი:**

– მოკლედ დავწერ, ამ კომპანიამ კავეა პლუსმა, მინდა ოფიციალური ბოდიში მომიხადოს ამ ტყუილისთვის! თუ არადა, კანონიერ ფაზაში გადავა ეს ყველაფერი და ძალიან წააგებთ!

**ივა ფეზუაშვილი, მწერალი:**

– სერიალ „ორობორუსის“ ირგვლივ შექმნილ ძალიან სამართლიან პროტესტს მინდა გამოვეხმაურო. „ორობორუსის“ სცენარი, იდეა და კონცეფცია გვეკუთვნის მე, გიგიშა აბაშიძეს, ლევან კვარაცხელიას და თამრი ოხიკიანს. მე, ლევანი და გიგიშა ვმუშაობდით სერიალ „ტიფლისზეც“, მაგრამ ჩვენ სამს, არასდროს პრეტენზია არ გვქონია „ტიფლისის“ შემქმნელობაზე, ჩვენ ვიყავით დაქირავებული სტაფი და ვმუშაობდით რეჟისორის, სცენარისტის და მხატვრის პოზიციებზე.

„ტიფლისის“ შემქმნელის ტიტრი ეკუთვნის მხოლოდ ლევან დაბრუნდაშვილს, რადგან იდეიდან დაწყებული, ქასთინგით გაგრძელებული და ვიზუალური თხრობით დამთავრებული, ყველაფერი ლევანის მოგონილი და შემუშავებულია. ლევანის მიმართ, მადლობის გარდა, არაფერი მეთქმის, 24 წლის ვიყავი, როდესაც ამხელა პროექტი მანდო და თუ რამე ვისწავლე ამ პროფესიაში, დიდი წილი „ტიფლისის“ გადაღებებზე მაქვს ნასწავლი.

იმედი მაქვს, „ტიფლისის“ სტაფი, შინაური და მეგობარი ხვდება, რომ ამ გაუგებრობაში ჩემგან დამოუკიდებლად აღმოვჩნდი და არასდროს მიფიქრია, რამე ისეთის მიწერა, რაც მე არ მეკუთვნის. ჩემი მხრივ დავამატებდი, რომ სხვა ადამიანის ინტელექტუალური საკუთრების მიტაცება, მხოლოდ იმის გამო, რომ „ბაზი“ შექმნა და რომ „შავი პიარიც“ პიარია, არის ქვის ხანის მარკეტინგი და ჩვენ სფეროში მომუშავე არც ერთი პროფესიონალი და ღირსეული ადამიანი ამას არ იკადრებდა.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 2. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 3. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელი; 5. საცხენოსნო შეჯიბრება; 6. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 14. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

**თარაზულად:** 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც განთავსებულია სამაშველო ნავები; 7. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 9. საყოველთაოდ ცნობილი გაცვეთილი ჭეშმარიტება; 10. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 12. კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. რაიონული ცენტრი კახეთში; 17. ქართული კონიაკი; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. განსაკუთრებული ნიჭი; 21. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული კერძი; 22. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

